წლიწადი მეორე ფასი 10 კაპ. კვირა, 20 გიორგობისთვე 1916 წ. № 250

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ბარათაშვილი

მგოსანო!.. შენი დღესასწაული ახალგაზრდა საქართველოს დღესასწაულია!.. მაგრამ ვაი, რომ ამ დღესასწაულს ქართველი ერი ზეიმითა და შენის სახელის შესაფერ დიდებით ვერ იხდის. ვერ უნდა აიშალოს დუნდგო ხალხისა კასპიის ზღვიდან შავს ზღვამდე და უფრო იქითაც... კავკასიის მთების გადაღმიდან მოყოლებული გოჩის ტბამდე, აიშალოს და წამოვიდეს დაფითა და ნაღარითა, სიმღერითა და ღრეობითა, მოიყაროს თავი უძველეს დედაქალაქ ტფილისს, სადაც შენი მთაწმიდა შენის სევდით ჩაფიქრებულა, შენი მტკვარი, ჩვენი უგვირგვინობის მომთქმელი, მრავალ დროების მოწმე და ძიაშენის ყაბახი გამხდარა საქელველი უცხო თესლთა და გარეწართა.

შენ დაიბადე საქართველოს უდაბნოში, ბედი შენი მწარე და სავალალო იყო,—შენ მოესწარ იმ ძველ ქართველებს, რომელთ მიაყუჩეს მაჯისცემა ივერიისა, მოესწარ შავბნელ დროს, როდესაც ძვირფასი პორფირი იწეწებოდა და ბატონიშვილნი ილტოდნენ კლდე-ღრეთა შორის საქართველოს ჩაფერფლილ დიდების საძიებლად... შენი დრო იყო დრო დაძაბუნებისა და საქართველოს ბედის თამაშისა, შენ კიდევ სჭვრეტდი მეფის ერეკლესა და სოლომონის აჩრდილებს, რომელნიც საქართველოს მომავალს სხვა და სხვა გზას უკვლევდნენ, შენ მოესწარ გრიგოლს და ვახტანგ ორბელიანებს, სოლომონ დოდაშვილს, ბერს ფილადელფოსს, ზაზა ბარათაშვილს, მაგრამ ამათთან ერთად მოესწარ გამყიდველ ფალავანდიშვილსაც... გლეხნი ხელ ფეხ დაბორკილნი სახრჩობელაზე რომ აიყვანა და რომელმაც ერი დასვა მდინარესა ზედა ბაბილონისასა დაკარგულ სამოთხის სატირლად და მისთვის საგოდებლად...

ასეთს შავბნელ დროში სცხოვრობდი და იტანჯებოდი. შებოჭვილ იყავ მამულის სევდითა და მწუხარებით, იმედგაცრუებული, მოტყუებული ნათესავთა და მეგობართაგან; იყავ გულმოკლული შენის მიჯნურისაგან, დაუცხრომელად ეძიებდი, მაგრამ ბოროტი სული გულღვიძლს გიღადრიდა და ეჭვი,—ეჭვი დამამხობელი ყოველ კეთილ ზრახვათა, გზარავდა, დაგენგრა ტაძარი და სიყვარულმა ვეღარ აღგიგო იგი ტაძარი. მხოლოდ ერთხელ ააწყვეტინე ჯაჭვი შენის ოცნების მერანს, გააშლევინე ლაღი ფრთა შენს ჭაბუკურს აღმაფრენას, მაგრამ აქაც შავი ყორანი აჰყვა შენს კვალს და უკან მოგჩხაოდა, ვიდრე, მეგობართა და სატრფოს დაშორებულმა, უღვთოდ არ დაჰლიე უმანკო სული უცხო ალაგას და ქარიშხალმა ზარითა და ღრიალით შავი მიწა არ მოგაყარა.

ასეთს უკუღმართს ბედზედ იყავ დაბადებული და შეესწარ ესრეთს ჟამსა სინანულისა და უიმედობისას!.. გარნა ვითომ უკეთესი დღე შეგხვდა შენის დიდების სადღესასწაულოდ? აბა, გადმოჰხედე შენს მშობელს ერს! მშობელი სტირის თავისს შვილს, შვილი თავისს მამას, დაი თავისს ძმასა და შვილს, ხოლო დედა—დედა საქართველო კი თავისს შვილებს ყველას ერთად. გადმოჰხედე ჩვენს აფორიაქებულსა და აწეწილს ცხოვრებას და შეგვინდე, თუ გულმხიარულნი ვერ ვზეიმობთ.

ჩვენ ვებრძვით მამა-პაპათაგან დაშთენილს ბოროტებას, ჩვენ ვუმკლავდებით წინაპართა დანაშაულს, მათის შეცდომის მძიმე ტვირთი და მათი ცოდო კისრად გვაწევს და ახალგაზრდა საქართველოს შვილნი ვუყვირით ერთურთს:

„გაჰკვეთეთ ქარი, გააპეთ წყალი,
გადაიარეთ კლდენი და ღრენი!"

სულმნათო! ჩვენი ზეიმი ვინაიდგან შენი ზეიმი იქნება, შენ იყავ პირველი მნათობი მომავალ საქართველოისა!

სანდრო შანშიაშვილი.

ნ. ბარათაშვილი და საქართველო

ას წელს წინად საქართველოს ტახტხელმწიფება მხოლოდ თხუთმეტის წლის გაუქმებული იყო; მაგრამ ადრინდელ სახელმწიფო და საზოგადო წყობილების დამხობით ერის ხორციელი და სულიერი სიმთელე უკვე დარღვეულიყო; ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის ამაოდ დაიტანჯნენ მეთაურ წოდებათა საუკეთესო შვილნი; ოცდა მეათე წელთა შეთქმულება ნაბოლარა იყო. მას მერე ბედის მორჩილ საქართველოს მაჯისცემა მიდუნდა; მრავალნი უცხოეთში გარდაიხვეწნენ; შინ დაშთენილნი თავადნი სახელოვან წინაპართაგან დაყოლილ ქუნსა რუსის ჯარისკაცობაში ჰკლავდნენ: დაღისტნელებზე ლესავდნენ მახვილს... შამილის დასაჭერად, ნიკო ბარათაშვილიც მათთან იქნებოდა, ფეხი რომ არ დაშავებოდა. ამისათვის მოხელე გახდა და, როგორც ნიკოლოზ პირველის ყოველი მსახური, წვერ-ულვაშ გაპარსული აწარმოებდა „საქმეებს"... მაგრამ ღვთისაგან რჩეულის ნიჭი არსად დაიმარხება; ხმამ იდუმალმა, მარადჟამ თან რომ სდევდა, მაინც მონახვინა მას თავისი ხვედრი—მწუხარედ მიძინებულ ერის მგოსნობა; ნ. ბარათაშვილი ერეკლე მეფის საქართველოს პირველი პირისუფალია; მისის ბედით ვნებულმა პირველად მან აფრქვია ცრემლი მხცოვან გმირის საფლავზედ და აკი კიდეც დაარქვა თავისს ლექსს—„ივერიის საფლავი"... რწმენით მონარქისტი, ნ. ბარათაშვილი რელიგიურ გრძნობასაც ჰპატრონობდა; და სიკვდილს რომ დაეცალა მის შემოქმედების რელიგიური და ეროვნული ექსტაზი საიდუმალო მესიანისტურ ჰანგსა ჰშობდა; მაშინ ბარათაშვილი ქართველ ერსაც ეგრეთვე ჭეშმარიტად უწინასწარმეტყველებდა, როგორც თავის თავს; ოცდა ცხრა წელს იცოცხლა და მხოლოდ ოცდა ცხრაზე ცოტა მეტი ლექსი დასტოვა. მსხვერპლი იმ სნეულებისა, რომლის გამო ქართველი თავისიანს არ გამოადგება, განჯაში მაზრის უფროსის თანაშემწედ გარდიხვეწა, იქაურ ყაჩაღთა დევნაში დაავადდა და ბოროტ-ღელვილი, ობოლი განჯაშივე დაიმარხა, ფარაჯაში გახვეული.

ორმოცდა რვა წელს შემდეგ ნ. ბარათაშვილის გვამი საქართველოს წმიდათა წმიდაში გადმოასვენეს; დიდუბეში—სადაც თამარ-მეფემ ძლევის გვირგვინი დაიდგა, გამოღვიძებულმა ერმა თავისი მგოსანი სიყვარულისა და სიამაყის გვირგვინით აკურთხა; იქ თაყვანი სცეს ბარათაშვილს მისის რკინის ლექსთა მდევართ—ილიამ და აკაკიმ...

დღეს, ჭაბუკ-მგოსნის დაბადების ას წელს ვდღეობობთ. ქვეყანა ირღვევა, განცეცხლებულნი ქარნი დასავლეთისანი ჩრდილოეთით მოწოლილ მყინვარს აღნობენ. შავი ზღვის ზვირთნი კვლავ აღტყველვებულან. ათასის წლის მოხუც საქართველოს ძარღვები სისხლით ევსება... ისეთ იუბილეს ვერ ვიხდით, ბარათაშვილის აჩრდილი საიქიოსა რომ იშვებდეს, მაგრამ დღე მოვა და მაშინ ჩვენი დღეობაც ეგრეთვე დიდებული იქნება, როგორც დიდებულია იუბილეობა ებრაელთა და კათოლიკეთა.

გრ. ვეშაპელი

ტრაგიკული გრძნობა ნ. ბარათაშვილის ლირიკაში*)

იმათ შორის, ვინც ქართულად აზროვნებდა, გრძნობდა და სთხზავდა, ტრაგიკული ხელოვნება არავის არ აუყვანია იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ნ. ბარათაშვილი ავიდა თავის ლირიკაში. პირველად ამ მგოსანმა გვაგრძნობინა, რომ ტრაგიკული სიდიადე, მუდმივი ტანჯვა და ბოლოს დამარცხება ხვედრია თვით მსოფლიოს საბედისწერო და გარდაუვალ მსვლელობისა, რომ ტრაგიზმი გამომდინარეობს თვით სამყაროს შინაგანი არსებობისა, მის მეტაფიზიკურ შუაგულისაგან. თავის ტრაგიკულ გმირად მან დაგვისახა დიადი მე ანუ ზოგადი, ყოველ ინდივიდუალურ საზღვრებისაგან თავისუფალი პიროვნება, რომლის ბრძოლა, ლტოლვა და ტანჯვა სივრცის, მიზეზობრიობის და მიზანთა ურთიერთობის გარეშე სდგას. ეს არ არის ტრაგიზმი ამა თუ იმ დიად პიროვნებისა, რომელიც განსაკუთრებულს სახიფათო პირობებში სდგას, როგორც მაგალითად სოფოკლეს ედიპოსი ან ანტიგონა, შექსპირის რომეო, ოტელლო ან იულიოს კეისარი; ან ებრძვის ამა თუ იმ გარეშე მტრებს და მოწინააღმდეგეებს, როგორც შექსპირის ანტონიოსი, რიჩარდ მესამე, კორიოლანოსი, ან ილუპება შინაგანი სულიერი გათიშვის გამო, როგორც გოეტეს ფაუსტი, ვაგნერის ტანჰოიზერი, ჰაუპტმანის ოსტატი ჰაინრიხი, ან ილტვის განსაკუთრებულად ძნელს მისაწდომს მიზნებისკენ, როგორც ესქილოსის პრომეთეოსი, ბაირონის კაენი და ლუციფერი, იბსენის ბრანდი და ხუროთ-მოძღვარი სოლმესი. ბარათაშვილმა შესძლო დაენახვებინა, რომ თვით პიროვნების სიდიადეში სძევს მომენტები, რომელნიც ტრაგიკულს მდგომარეობას ჰქმნიან გარეშე მტრების, მიზეზების და მიზნების დამოუკიდებლადაც: ერთადერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც იგი ებრძვის და რომლის წინაშეც ბოლოს აუცილებლად ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა მომაკვდავმა, არის ბედისწერა.

არისტოტელმა თავის „პოეტიკაში" (თ. 6 და 14) ის აზრი გამოსთქვა, რომ ტრაგიზმისთვის აუცილებლად მოქმედებაა საჭირო და არა ტრაგიკულს შთაბეჭდილებას ახდენს ყოველი გმირი, რომელიც უმოქმედოდ სდგას ან რაიმე მოქმედების შესრულება სურს და ვერა სძლებს. შემდეგ ლესსინგმა და ჰეგელის სკოლის ზოგიერთა წარმომადგენლებმა უკიდურესობამდე მიიყვანეს ეს შეხედულობა, რომელიც შეიძლება კლასსიკურ საბერძნეთისთვის სრული ჭეშმარიტებაც იყო, მაგრამ დღეს აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე ხელოვნების, განსაკუთრებით მუსიკის განვითარებას. თვით დრამატიულს ხელოვნებაშიაც კი მეცხრამეტე საუკუნემ წარმოშობა სრულიად სამართლიანი ესტეტიური ტიპი შემოქმედებისა, ეგრედ წოდებული „სულიერი დრამა", რომელშიაც შინაგანი გათიშვა, სულიერი შეტაკება და ბრძოლა შესამჩნევად სჭარბობს, ხშირად სრულიად ჩრდილავს, გარეგნულს მოქმედებას, გარეშე მტრებთან შეტაკებას და ბრძოლას, მაგრამ, ამისდამიუხედავად, კიდევ უფრო ძლიერს ტრაგიკულს შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე „მოქმედების დრამა". ის ჭეშმარიტებაა, რომ თანამედროვე ადამიანის სულიერი შინაგნობა უფრო მადლიერი და ნაყოფიერი ასპარეზია ტრაგიზმის შესაქმნელად, ვიდრე გარეგნულ მდგომარეობის დახლართული პირობები, ცხადჰყო ახალ დრამის განვითარებამ: გოეტეს „იფიგენიამ" და „ტორკვატო ტასსომ", ბაირონის „კაენმა" და „მანფრედმა", შემდეგ, განსაკუთრებით, იბსენმა, ბიერნსონმა, ჰაუპტმანმა, ჰოფმანსტალმა და მეტერლინკმა. მაგრამ „სულიერი დრამა", უფრო აშკარად, ლირიკული და მუსიკალური ხელოვნება მოწმობს იმ აზრს, რომ გარეგნულ მოქმედების დამოუკიდებლადაც შეიძლება ღრმა ტრაგიზმის შექმნა: ბაირონის, ლეოპარდის, ლენაუს და ჰოელდერლინის ლირიზმი უმეტეს ნაწილად ტრაგიკულია, ისევე როგორც რომანტიულ მუსიკის ბევრი ნაწარმოები, თუმცა არც ერთსა და არც მეორეს არ შეუძლიან დრამატიული მოქმედება ცოტად თუ ბევრად ნათლად გამოხატვა. მაგრამ ამას გარდაც არის ლირიკაში ისეთი მომენტები, რომელნიც მას მუსიკას უახლოვებენ.

მუსიკას შოპენჰაუერმა მეტაფიზიკური ხელოვნება უწოდა. მაშინ როდესაც ყოველი სხვა ხელოვნება პლატონურ იდეის მსოფლიო ნების ყოფის რომელიმე საფეხურის გამოხატულებაა, მუსიკა—ეს უმაღლესი ნაყოფი ადამიანის ესტეტიურ შემოქმედებისა—ჰხატავს თვით პირველყოფილ მსოფლიო ნებისყოფას პირდაპირ, უშუალოდ. „ის ჰხატავს არა თუ იმ განსაზღვრულს სიხარულს, ამა თუ იმ ქმუნვარებას, ან ტკივილს, ან საშინელებას, ან სიამოვნებას და სულის სიმშვიდეს; არამედ თვით სიხარულს, ქმუნვარებას, ტკივილს, საშინელებას, აღტაცებას და სულის სიმშვიდეს საზოგადოდ, ასე ვთქვათ განყენებულად მათი დედააზრის ყოველ დამატებისა და მოტივის დამოუკიდებლად... მაგრამ მისი ზოგადობა სრულიადაც არა ჰგავს აბსტრაქციის ცალიერს ზოგადობას, არამედ სულ სხვა ხასიათისაა, სახელდობ ნათლად გარკვეულს განსაზღვრულებასთან შეერთებული („სამყარო როგორც წარმოდგენა და ნებისყოფა". ტ. 1, წიგნი 8, § 52). შოპენჰაუერის ხელოვნების მეტაფიზიკაში ეს უკანასკნელი აზრი ყველაზე უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან: მუსიკის ენა მართლაც ზოგადი და განსაზღვრულია ერთსა და იმავე დროს; გრძნობა აქ ლაპარაკობს პირდაპირ ხმაში, ტონების მელოდიაში ყოველი ლოღიკური ან ისტორიული ახსნის დამოუკიდებლად, მაგრამ იმდენათ აშკარად და გარკვეულად, რომ მას შეუძლიან ნათელი მოჰფინოს და გაგვაგებინოს რაიმე მხატვრული ან დრამატიული სცენა, რომელიც უიმისოდ იდუმალი და გაუგებარია. ვაგნერის მუსიკალური დრამა კარგად მოწმობს ამ შეხედულებას.

მაგრამ, მეორეს მხრივ, მუსიკას არ ძალუძს სიტყვების, მოქმედების და პლასტიკის დაუხმარებლად გრძნობისა და სულიერ მოძრაობის ინდივიდუალიზაცია, მას არ შეუძლიან დაგვანახვოს, რომ ეს განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც განსაკუთრებულ მუსიკალურ ტონებში ინატება ამ განსაკუთრებულ პიროვნებასთან, ამ განსაზღვრულს ბედთან არის შეკავშირებული: ამიტომაა, რომ მუსიკალურს ტრაგიზმს რაღაც გამოუთქმელი მეტაფიზიკური ელფერი აქვს და უფრო ძალოვან გავლენას ახდენს, ვიდრე მხატვრული ან დრამატიული ტრაგიზმი. ეს კარგად ესმოდათ იმათ, ვინც დრამას და მუსიკას ერთიმეორეს უკავშირებდნენ, როგორც ესქილოსი თუ სოფოკლი ძველს საბერძნეთში და რიხარდ ვაგნერი თანამედროვე ხელოვნებაში; ან კიდევ ტრაგედიის წარმოშობას მუსიკის სულში ეძებდნენ, როგორც ფრ. ნიცშე. ბეეტჰოვენის ზოგიერთი სიმფონია, ვაგნერის ზოგიერთი უვერტიურა, ისე მოქმედებენ, თითქო ტრაგიზმი ხვედრი იყოს თვით მსოფლიოს ზეგრძნეული შინაარსისა; თითქო ხმები მოგვითხრობდნენ ამ უსახელო, დიადი, გამოუთქმელი არსების სამარადისო მღელვარებასა, ტანჯვასა, გამარჯვებასა და დამარცხებაზე, მის უმიზეზო და უმიზნო ლტოლვაზე, რადგან იგი ერთი და განუყოფელია, როგორც შოპენჰაუერის ნებისყოფა, და, მაშასადამე, მის გარეშე არა რა არსებობს, რასაც შეეძლო მისი ტანჯვა გამოეწვია ან მისი ლტოლვის მიზანი გამხდარიყო.

ასეთივეა რამოდენიმეთ ბარათაშვილის ტრაგიზმიც. მისის მერანის უგზო უკვლოდ ფრენა, მისი გიჟური, უმიზნო ლტოლვა საუკეთესო ლირიკური სახეა შოპენჰაუერის პესსიმისტური ფილოსოფიისა. როგორც მსოფლიო ნებისყოფა, რომელიც მუდმივ დაუკმაყოფილებელი წყურვილით იტანჯება, ის მუდმივ თავის საზღვრების გადალახვას სცდილობს, მაგრამ საზღვრებს ვერა ხედავს, ილტვის, მაგრამ თავის სურვილის დაკმაყოფილებას ვერა სძლებს, ეძიებს, მაგრამ ყოველგან მხოლოდ თავისავე თავს პოულობს, სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ თვითონ ისაა ერთად-ერთი „ნამდვილი სინამდვილე", ყოველივე კი, რაც იმის გარეშე არსებობს, არის მოვლენა, აჩრდილი, მაიას ზეწარი,—ისე ბარათაშვილის მხედარი, ეს უსახელო ტრაგიკული მე დრტვინავს და ღელავს, ქარს ჰკვეთავს და წყალს აპობს, უმიზნოდ მიჰქრის, უმიზნოდ იტანჯება და ამაოდ ლამობს გაექცეს თავის ბედისწერას, რომელიც ყოველთვის უკან არის, მიტომ რომ მისი საზღვრები გარდაუვალი და აბსოლუტურია. ესაა ბრძოლა მესი თავისთავთან, თავის საბედისწერო საზღვრებთან, ტრაგიკული გათიშვა, რომლის შერიგება და მოსპობა ყოვლად შეუძლებელია.

ეს კონფლიქტი შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანის ყოფნის და მოქმედების მიზანი მხოლოდ ბედნიერება ან წყნარი, შეუშფოთებელი კმაყოფილება რომ ყოფილიყო. ფრთების შეკვეცა, აღმაფრენის ჩახშობა, შეჩერება და გულში ჩაკვლა უსარგებლო მისწრაფებათა უზენაეს ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისადმი, დაკმაყოფილება იმ ვიწრო ფარგალით, რომელიც აუცილებელ ბედისწერას მიუჩენია თვითეულ მომაკვდავისათვის, შერიგება იმ აზრთან, რომ მას ვერავინ გადავლის,—უფრო ადრე მიანიჭებდა ადამიანს ბედნიერებას, ვიდრე მოუსვენარი ლტოლვა უსაზღვრობისა და უკვდავებისაკენ. „დაჰყავი მარადისობა უჯრედებად, უცქირე მას საპყრობილის სარკმლიდან, შეიგნე, რომ ყოველი ცდა იქიდან თავის დაღწევისა ამაო და ფუჭია და მოიპოვებ სულიერს სიმშვიდეს, ამ ქვეყნიურ ბედნიერების სარწმუნო თავმდებს!" ესაა ყოველდღიურ გონივრობის ძირითადი სიბრძნე. ბევრი მხარე ადამიანის ადამიანობისა, ბევრი რამ, რითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი კულტურა, შეუძლებელი გახდებოდა, ჩვენს არსებობას და მოქმედებას რომ მართლაც ეს სიბრძნე დასდებოდა საძირკვლად: უწინარეს ყოვლისა კი შეუძლებელი იქნებოდა შემეცნების განვითარება!

ეხლა არავისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ შემეცნებას ბედნიერება არ მოაქს. მას მოაქვს პიროვნების გაფართოვება, გონებრივი წყურვილის დაკმაყოფილება, ადამიანის ბატონობის სფეროს გადიდება, ბუნების დაპყრობა, ქონებრივი კეთილდღეობის გაძლიერება, შეიძლება კიდევ ბევრი სხვა სიკეთი და ღირებულება, ყოველს შემთხვევაში არა ბედნიერება. რა სიამოვნებით გამოვეთხოვებოდით ბევრს ჩვენს ჭეშმარიტებას, რომელიც ხშირად მწარე და ულმობელი ირონიაა ადამიანის უნაზესი და უდიადესი მისწრაფებისა. მაგრამ თითქო ჩვენში არსებობდეს რაღაც უძლეველი ნების ლტოლვა ჭეშმარიტებისადმი, საისელ ყმაწვილივით უშიშრად ფარდას ვხდით ბუნების და სულიერ ცხოვრების საიდუმლოებებს, ხშირად ვძრწით სანახაობის წინაშე, უკან კი არ ვიხევთ, სანამ ცნობიერების წყურვილს არ მოვიკლავთ. მაგრამ უფრო დიდი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ წყურვილის მოკვლა არსებითად შეუძლებელია: გოეტემ „ფაუსტში" დაგვიხატა აბსოლუტურ ჭეშმარიტების მაძიებელ სულის ტრაგედია, მისი უძლურება, მისი უზნეობა ზოგიერთ ჭეშმარიტებისადმი, რომლის ცოდნა უფრო გამაუბედურებელია, კიდრე საკეთილდღეო.

შემეცნებაში არის ერთი მომენტი, რომელიც ამ ტრაგედიას ყველაზე უფრო უახლოვებს თვითეულს ჩვენგანს და გასაგებად ხდის იმისთვისაც კი, ვისთვისაც ეს შეუდრეკელი მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი უცხო და გაუგებარია: და სწორედ ეს მხარე გვამცნო ბარათაშვილმა თავის „სულო ბოროტო"-სა და „ფიქრში მტკვრის პირად". ცნობიერი ცხოვრება მართლაც ყმაწვილური ოქროს-ფერი იმედებით, წრფელი ნდობით და სასოებით იწყება: მოხიბლულნი შევდივართ ცნობიერების ტაძარში, რომლის შესავალს მართლაც თავისუფლების სიტყვები აწერია: პირველს საფეხურზე კიდეც ვოცნებობთ ბედნიერებასა და სულის მშვიდობაზე, რომელსაც ახალი გზა გვიქადის; მხოლოდ შემდეგ, როცა კარგა შორსა ვართ წასული და უკან დაბრუნება აღარ შეგვიძლიან, ვამჩნევთ, რომ ჩვენი წინამძღვარი „ბოროტი სულია", გონების აღმაშფოთარი, წრფელ ზრახვათა აღმრევი; აქ ვხედავთ, რომ უდიდესი საიდუმლოებანი, რომლის ცნობას შეეძლო ჩვენი წყურვილი მოეკლა და ჩვენი შეუჩერებელი ლტოლვა დაეკმაყოფილებია, დაფარულია მომაკვდავისათვის, ხოლო ის, რაც ცხადი და სახელდახელოა, გულუბრყვილო რწმენას ძირს უთხრის და, მაშასადამე, აოხრებს სულს.

ისევე, როგორც განუვითარებელი ადამიანისათვის უძვირფასესი მხარე სარწმუნოებისა სულიერ უკვდავების რწმენაა, შეგნებული ადამიანისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ის რწმენა არის, რომ უდიდეს ზნეობრივ, მეცნიერულ და ესთეტიურ ღირებულებანი, რომელთა შესაქმნელად ამდენი კულტურული შრომა და სიცოცხლეა შეწირული. არ დაიკარგება მომავლისათვის პიროვნება, რომელსაც ადამიანურ კულტურის ფასი დაახლოვებით მაინც ესმის, ვერასოდეს ვერ შეურიგდება აზრს, რომ სულიერ შემოქმედების უმშვენიერესს და უნაზესს ქმნილებებს ერთ დროს ბოლო უნდა მოუღოს უაზრო და მოუხეშავი ბუნების მსვლელობამ. რა აზრი აქვს თვით ჩვენს ზნეობრივ ცხოვრების უუდიდეს წუთებს, უუკეთილშობილეს მოქმედებებს, თუ სუსტს ადამიანს არ ძალუძს, ხოლო უზენაესი არსება არსად არის, რომელიც მას მარადისობას შეუნახავდა.

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა
ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ
სად-ღა იყოს?..

ამ ჭეშმარიტებას კი რომ „ერთხელ სოფელსაც ბოლო უნდა მოეღოს", კარგა ხანია ფარდა აჰხადა საბუნებისმეტყველო შემეცნებამ. ერთი თანამედროვე მეცნიერი ამბობს: „ჩვენი პლანეტების სისტემის ენერგია დასცხრება, მზის სიდიადე ჩაქრება და დაბნელდება, და დროთა ბრუნვას და მოძრაობას მოკლებული დედამიწა ვეღარ შესძლებს ატაროს თავის ზურგზე ადამიანთა ტომი, რომელმაც ერთის წამით მისი მარტოობა დაარღვია. ადამიანი ჩაიღუპება ჯურღმულში და თან წაიღებს თავის აზრებს და გრძნობებს. მოუსვენარი ცნობიერება, რომელმაც მცირე ჟამით შეაჩერა სამყაროს კმაყოფილი მდუმარება, მოისვენებს და დაყუჩდება. მატერია დაჰკარგავს თავისსავე თავის შეგნებას. „წარუვალნი ძეგლნი", „უკვდავნი მოქმედებანი", თვით სიკვდილი და სიყვარული, რომელიც კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი, იქნებიან ისე, თითქო არასოდეს არ ყოფილან და ყველა იმას, რაც ადამიანმა უთვალავ თაობათა განმავლობაში შექმნა თავის შრომით, თავის გენიოსობით, თავის ლოცვით და თავის ტანჯვით, არ შეეძლება შესცვალოს, გააუმჯობესოს ან გააუარესოს ის, რაც მაშინ იქნება".

გერონტი ქიქოძე.

(დასასრული იქნება)

ნ. ბარათაშვილის ახალ ლექსის შესახებ

(იხილე დღევანდელი დამატება)

ნ. ბარათაშვილი, როგორც მისი ბიოგრაფია გვაუწყებს, დამცინავიც ყოფილა, თუმცა ამ ნიჭის გამომხატველი ლექსი არც ერთი იყო დღევანდლამდე ცნობილი. დღეს წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავის ერთს პატარა კრებულში(№ 5190) ამოჩნდა ერთი ამისთანა ლექსიც, რომელსაც სათაურად აქვს **ელენეს და მარიამ.** ეტყობა, რომ ეს ლექსი ხელად არის დაწერილი სამასხროდ. ვინ არის ელენე, არსაიდგან ჩანს, ხოლო მარიამის გვარი კი ცხადდება იმავე კრებულიდგან, სადაც მოთავსებულია ოთხი კუპლეტი, რომელთა ქვეშ მოწერილია **მარიამ ფალავანდოვისა.** მარიამ ფალავანდოვისას ეს კუპლეტები დაუწერია მის შესახებ დაწერილის ლექსების პასუხად. აქ პირდაპირ სჩანს, რომ იგი პასუხს აძლევს მიხეილს და ტატოს, რომელნიც თავიანთ ლექსებში შეხებიან მის ხნოვანობას. თქმა არ უნდა, რომ ამ კუპლეტებში (2 და 4) მოხსენებული **ტატო** ნ. ბარათაშვილია, რადგან მისი შინაური სახელი სწორედ **ტატო** იყო და მის ლექსშიაც სწორედ **მარიამის** ხნოვანობაა მოხსენებული.

მარიამ ფალავანდოვის კუპლეტებში ნ. ბარათაშვილის შესახებ მოიპოვება ორიოდე ცნობა, რომელნიც აღსანიშნავნი არიან იმიტომ, რომ ამ შესანიშნავის პოეტის შესახებ საზოგადოდ

---

*) ამ წერილში ვეხები მხოლოდ ერთ მხარეს ბარათაშვილის პოეზიისას. მეორე წერილში, რომელიც შემდეგს ნომერში დაიბეჭდება, ვეცდები სხვა მხრით გავაშუქო მგოსნის შემოქმედება. გ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან ცოტა ცნობა გვაქვს მის თანამედროვეთაგან გადმოცემული. აი ეს ცნობები: 1) ნ. ბარათაშვილს უმსახურნია პალატაში („პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“), 2) უტარებია სათვალე და ჯოხი („სათვალეცა თქვენ გშვენის, ყავარჯენიც ხელშია“); მისი სევდიანობა ყველასთვის შესამჩნევი ყოფილა („ფეოდორის ყურებით სევდა გაგზმირებია“) და 4) ისერს პოეტად ყოფილა ცნობილი, რომლისაგანაც მოსალოდნელად მიუჩნევიათ დაცინავის ლექსების დაწერა („დავინებოთ ეს ლექსი ჩვენსა პოეტს ტატოსა“).

არა ჩანს კრებული № 5190 როდის ან ვის დაწერილია. ერთის შეხედვით, ნაწერის ხელი ზ. ჭიჭინაძისას ჰგავს. მაგრამ მისი ხელი რომ იყვეს და იმას სცოდნოდეს ამ ლექსის არსებობა, ნუთუ აქამდის არ გამოაქვეყნებდა?

დ. კარიჭაშვილი.

17 გიორგ. 1916 წ.

ნ. ბარათაშვილის ხსოვნას

(დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო)

არემარეს სალამოს ბინდი ედებოდა: ბუნებას ძილი ეპარებოდა.

— ჰა!—წამოიშრიალა მთვლემარე ჩინარმა და მხრები შეიშუშნა. გამოფხიზლდა, წყლის ნაპირისაკენ გადაიხარა და სმენად გარდაიქცა.

— რა მოუვიდა ჩემს პირმშოს? რათ შეირხა?—გაიფიქრა თავის გულში ბუმბერაზმა მთამ, რომლის კალთაზე ჩინარი ამართულიყო.

ბუმბერაზმა თავიდან საბანი გადიხადა და დაღარული სახე გამოიჩინა, უცხო ხმები გაიგონა.

ხმებს სევდიანი ჰანგები მოჰქონდათ და გულს აღონებდნენ. ამაყი ჩინარი ისე მოხიბლულიყო, რომ უბრალო განძრევასაც კი ვერა ჰბედავდა.

— ნეტავი ვინ არის?—იკითხა გაოცებულმა მთამ.—ნიავო, დაიცა პატარა ხანსა! მითხარი, საიდან ისმის ეს სევდიანი კილო?

— არა მცალიან!—ასისინდა ნიავი.

— დაიცა პატარა ხანსა!... ღმერთო, რამ ააფორიაქა!

— არა მცალიან, არა! გაიგე თუ არა? გამიშვი! მე იმის შავად მღელვარი ფიქრები უნდა წარვიტაცო.

— რას ბოდავს?!.. გამექცა... მოუსვენარი! დამაცადე შენა, რა გიყო, დამაცადე!—დაემუქრა მთა ნიავსა და თავის სამეუფოს დინჯად თვალი გადაავლო.

— ბინდბუნდი არის და ვერა ვხედავ—სთქვა წყნარად ბუმბერაზმა—სევდიანი ხმები იქიდან უნდა მოდიოდეს. ტყუილად კი არ მიყუჩებულა მდინარე. ჩინარიც იქით გადახრილა. ნეტავი ერთი მთვარემ ამოანათოს!.. თქვენ, ჰეი, ვარსკვლავნო, მოციმციმენო, თქვენ მაინც მომისინათეთ!.. არ მიგონებენ, იდუმალ ხმებს გაუტაცნია!

პირბადრი მთვარე ტატნობს ამოსცილდა და მოწიწებით გადმოჰხედა ქვეყანასა.

მთამ მთვარის შუქზე, მდინარის ნაპირას პატარა მდელოზე ვინმე ჭაბუკი დაინახა. თავს ცისფერ ყვავილთა გვირგვინი ედგა, ხელთ ჩანგი ეპყრა და გულკაეშნიანი დამღეროდა. ნელად მღელვარი მდინარე დუდუნით ბანს უბნობდა.

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უსაკოთაც და უსულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“

მოისმა ბუმბერაზსა და მადლიერის თვალით დაუწყო ცქერა უცხო ჭაბუკ'ა.

„ნეტავი, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“—ამოიკრნენ კიდევ სიტყვები.

„ჩე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!“—გაიგონა შემდეგ მთამ.

— ცას შესტრფის!—წამოიგრგვინა გატაცებულმა.—ჩემი მოძმეა! მეც ცას ვუმზერი!.. ვარსკვლავებსა!

„მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!—ამოიტანა ეხომ ჭაბუკის ახალი ნათქვამი.

„შთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო...“

...გულ დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!—მოისმა გულიდან ამონახეთქი მიმართვა.

— ოჰ, რა რიგ იტანჯვის!.. შვებას ითხოვს!—წამოიგუგუნა გულაჩუყებულმა ბუმბერაზმა.

„ჰოი ჩონგურო, ნეტავი ოდეს ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს!“—სთქვა მწუხარებით ქვეიდან მონადენმა ხმამ.

—„მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“!

მთას ბოლომა შემოაწვა, ვერ აიტანა გულსაკლავად წარმოთქმული სიტყვები და აქვითინდა. ქვითინი ჭაბუკის მწარე ოხვრას შეუერთდა და გარემომ მძიმედ ამოიკვნესა. მთვარე ჰმუნვარებით აღივსო და თვალს მოეფარა.

ინ—ბანი.

როგორ შევიძინე ნიკ. ბარათაშვილის ხელთნაწერი

თქვენ მეკითხებით, ბ-ნო რედაქტორო, თუ როგორ შევიძინე ჩვენის დიდებული მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერი, რომელსაც ეხლა ვალ. გუნიას ვარიანტს უწოდებენ.

მოგახსენებთ.

ეს იყო დაახლოვებით ამ ოცდარვა წლის წინედ.

იმ ხანებში და შემდეგშიაც ხშირად დავდიოდი კვირა-უქმე დღეებში „ბაზარში“, სადაც განსაკუთრებულის ყურადღებით ვათვალიერებდი ქართულ-რუსულ წიგნებს და ჟურნალებს ძველებსა, თუ ახლებს და, შეძლებისა დაგვარად, ვყიდულობდი ჩემი საკუთარი ბიბლიოთეკისათვის საინტერესო გამოცემათ.

ამ გზით სრულებით გაუჭირვებლად და შეუმჩნევლად ოციოდე წლის განმავლობაში სამი ათასზე მეტი წიგნი შევიძინე „ბაზარში“, მაგრამ ბოლო დროს ცხოვრების ულმობელმა მოთხოვნილებამ და ბრძანებამ ისევ „ბაზარში“ გამატანინა ჩემი საყვარელი წიგნები და ჩალის ფასად გამაყიდვინა—ფუთი ექვს აბაზად!..

მეტად ახირებული ყოფილა ცხოვრების ლოღიკა. ყველაფერში აღებმიცემაა გამეფებული. ჯერ ყიდულობ—მერე ჰყიდი!..

ჰოდა ერთს ასეთს ჩემს „ბაზრად ყოფნის“ დროს ჩვეულებრივ ვეწვიე ჩვენს დაუცხრომელს მწიგნობარს ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც იმ ხანებში გარედ ვაჭრობდა წიგნებით ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ხაზინის გვერდით ქუჩის ქვეშ გამართული ნოტიო სარდაფები რომ არის...

ფული მაშინ ძვირი და ძნელი საშოვარი იყო.

ზაქარიამ თავისებურის თავაზიანობით გამაცნო მის გვერდით მყოფი ვიღაც ლაზარევი, უკვე ხანში შესული კაცი, მაღალის ტანისა და ძრიელ გაზხდარი; ლაზარევს ეტყობოდა ან ძველი „ნაჩინოვნიკარი“ უნდა ყოფილიყო ან და ძველი ყაიდის აზნაური, რადგან მოძველებულ ტანსაცმელზე ახლად შეკერილი წითელი „ოკოლიშკიანი“ ქუდი ჰქონდა თავზედ კოხტად ჩამოფხატული შესაფერის „კოკარდით“.

შემოდგომა იყო და უკვე ციოდა.

— ვალიკო ჩემო, მომმართა ზაქარიამ, შენ რომ საინტერესო წიგნებს დაეძებ, აი საინტერესო და უკეთესზე უკეთესებიც ამას აქვს ხოლმე... ესეც წიგნებით ვ-ჭრობს, ხოლო ცოტა კრიჟანგი და მეძვირეა... ან რა საკვირველია: არ უჭირს და ამიტომ ხელს აჭერს!—იოხუნჯა ზაქარიამ.

— მაშ თქვენსავით ორგროშიან წიგნებს ხომ არ შევინახავ! თუ იყოს, საინტერესო და ანტიკა რამ უნდა იყოს!.. აი, ყმაწვილო, თუ გინდა ანტიკა რამე... და ამ სიტყვებით პალტოს ჯიბის უბიდან ამოიღო ქაღალდში გახვეული პაწია რვეული... აი ინტერესი ამაშ'ა! Самъ князь Николай Баратов-ი გახლავთ. Извольтесь, полюбуйтесь и погордитесь, молодой человѣкъ. დაქთან გადმომცა რვეული.

— შენ ფასი სთქვი, ფასი; თორემ ეგ რაც რვეულია, შენზედა უკეთ ვიცით. შე დალოცვილო, ისე აფასებ, რომ კაცი ახლოს ვერ მოგიდგება!..

— ჰა, როგორია?! თავმომწონედ დამეკითხა ლაზარევი, როცა შემატყო რომ სიხარულისა და მოხლავებულ ალტაცების გრძნობით ვიყავი გაბრუებული...

მე ხელთ მეჭირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერი.

— იყიდე, ვალიკო; გირჩევ, იყიდე; მშვენიერი ხელთნაწერია, მარიგებდა ზაქარია. მე, რაცა ხანია, ველიჭინები, მაგრამ არ იქნა მაგის მორჯულება: 25 მანათზე ნაკლებ ფეხს არ უცვლის!—ოხვრით და უიმედოთ წამოიძახა ზაქარიამ.

-- გროშ კაპიკსაც არ დავაკლებ!—გამაფრთხილა მოხუცმა.

— მე მოგარიგებთ,—ჩალიჩობს ზაქარია;—ვალიკო, მოდი, შვიდი მან. მიეცი!

— დამაცადეთ, ბატონებო, ძლივს ამოვიღე ხმა, მე ორჯერ შვიდ მანათს მივცემ, მაგრამ ეხლა სამი მანათის მეტი თან არა მაქვს... იმ კვირაა 12 მან. მოგართმევთ; თუ თანახმა ხართ, აი ინებეთ ეს 3 მან. და ხელთნაწერიც თქვენთან დარჩეს.

— ჰოდა, კარგი სიტყვაა, მე და ჩემმა ღმერთმა!—მემოწმება ზაქარია.

ლაზარევს ბევრი არ უფიქრნია. მყისვე გამომტაცა ხელიდან სამი მან.; ფული და რვეული ჯიბეში გაჰქანა და მოფერებულად დამირუსულა:

— Вы благородный молодой человѣкъ; настоящій дворянинъ человѣкъ... მეც ქართველი აზნაური ვარ, თუმცა სომეხი ვარ... კვირას მოხვალ და 12 მან. მომიტან, მეც რვეულს ჩაგაბარებ... ზაქარია შეა კაცი იყო, ეხლა თავდებიც იქნება.

ერთი კვირის შემდეგ ხელთნაწერი უბეში მედო.

მთელი წელიწადი დამქონდა როგორც სასოება, როგორც წმინდა ნაწილი.

ჩემი თავი უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა მთელს დუნიაზე.

ბევრჯერ გამჭირვებია, ბევრჯერ სიმწარე და სუსხი კარზე მომდგომია და მუქარით კბილები დაუკრაჭუნებია, მაგრამ ნიკ. ბარათაშვილის ხელთნაწერით გაჭირვებიდან თავის დაძვრენა აზრად არას დროს მომსვლია, თუმცა ბევრი ფულიც უძლევიათ—ათი, ოცი და ოცდაათი თუმანიც.

ამ ქვეყნად ისე არ მყვარებია კაცი—ადამიანი და ისეთის თაყვანის ცემით შემიმოსავს ვინმე, როგორც ილია ჭავჭავაძე, მაგრამ იმასაც უარი ვუთხარი ნ. ბარათაშვილის ხელთნაწერის დათმობაზე.

ბოლოს, როცა ხელთნაწერის პატრონობით ჭაბუკური გული ვიჯერე, დათიკო კარიჭაშვილის რჩევით ეს განძი ძღვნად მივართვი ჩვენთა ეროვნულ განძთა მფარველს და მზრუნველს ქართ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

ვალერ. გუნია.

შავი მზის რაინდი

ის შავი მზე, რასაც მსოფლიო გოდების სახელით ვიცნობთ ლიტერატურის შავს ფურცლებზე, შავი ჩირაღდნით მოევლინა ჩვენს მაშვრალს კერას და შავი რაინდი, ფაფარ შეშლილი შავი მერნით გამოგვექროლა, შავ მანტიით თავმობურული. ვინაა ეს მხედარი? საიდან მოდის? რას მომღერის იგი ასე „ობლად“, „მიუსაფარი“. მეტეორია, სფინქსი თუ...? არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ მეტის მეტად მომაკვდავებმა ჩვეულებრივს გზაზე მას ნ. ბარათაშვილი უწოდეს. სხვაფრივ ჩვენ არა ვიცითრა. ამაოდ დავიწყებთ მის საიდუმლოს ამოცნობას. რანაირ მოგვსაც არ უნდა მოუხმოთ, რა სიბრძნის კარიც არ უნდა შევაღოთ, ჩვენ მისას ვერას გავიგებთ და ვერც თუ ისეთს რასმეს ვიტყვით, რომ შეუმცნობელი შეცნობილად გამოვაცხადოთ, შავი რაინდის შავი ფსალმუნთა ზღვის ფსკერში ჩავწვდეთ. კაეშნიანი სიბრძნე, მელანქოლიით დაჩრდილული მის სალმრთო ნაკადულთა შავი ჩუხჩუხი, ზღაპრულ ელფების ჰანგად რჩება, როგორც უნივერსალური შავი მზე, როგორც მის შავს სხივებში მოთინათინე მომავლის შეუმცნობლობით შეშფოთებული წინაგრძნობლობა და მღელვარე ჩვენი გონება. ნერვიული, სწრაფმვლელი გრძნობით, საიდუმლოთა ჰიპნოზით შეპყრობილი ეს მწირი მხედარი სწორედ ის დასჯილი სული უნდა იყოს, რომელიც შავ ცნობადის ხეს გარს უვლიდა უცნაურ ხილის მოსაკრებად, მაგრამ ბედმან სასტიკმან „თვალბედითი ყორნის“ ყივილით და დემონის „მსახვრალი ხელით“ შავი სამოთხის კარით ადრევე გამოსდევნა, ვიდრე ამ ცნობადის ნაყოფის სიტკბო-სიმწარეს იგემებდა.

უკვდავი, მომაკვდავთა პირბადით მოვლენილი, პირველ ჰანგებითვე გვიპყრობს, გვაჯადოებს, ჰაერში მობანავე ფერიის ფრთებს გვასხავს და არიელის სისუბუქით გვიწევს „მთაწმინდის“ ფერდობებისკენ, შავი ფსალმუნის სანეტარო ჰიმნის მოსასმენად. მართლაც, რა დიდებული რამაა ეს ჰიმნი! მოისმინეთ იგი და თქვენ განშორდებით ტლანქ ხორციელობას, ეთერად გარდაქმნილს მაღლ ლოცვათა სიტყვების ნაცვლად ხმა შეგრჩებათ, ხმის საბადლოდ სუნთქვა, ხოლო ეს სუნთქვა შეიცვლების იდუმალებად, რომ მგოსანთან ერთად დაივიწყოთ „საწუთროება“, ალხვიდეთ ცათა გარდაღმა მხარეს.

„ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოთ აქ ამაოება!“

„ვითა გუნდრუკი სამადლობელი“ იკმევა თქვენი სული, სურნელების ტალღებში მიმოსცურავთ. თავდავიწყებულს გიპყრობთ ჰიპნოზი უხილავის მშვენიერების—როგორც სინქტისის მადონას გარშემო მომფრინავი ანგელოზები, ისე გეხვევიან ამ წმიდა მთის „სევდიანი მწუხრის“ ბინდბუნდი, უნაზესი მადლით აღვსილი ჰგრძნობს ზესთა ძალას, ასე გგონიათ, თითქოს თქვენთან მდგომარე მგოსანი გარდაიქცა თქვენს გულად, რომ იგი ჩურჩულებს რაღაცა არა ჩვეულებრივს, არა მატერიალურს, თითქოს მის ფსალმუნის თვითეული სიტყვა კი არ არის, არამედ სალმრთო ამბორი, ყვავილთა ჩურჩული, ან და ეს ყვავილთა ჩურჩული კი არაა, არამედ ვარსკვლავთა საიდუმლო კრთოლვა, თუ გნებავთ „სული ფუმანკო, მხურვალე ლოცვით მოქანცული“, უკეთ—ნაზი მთოვარი „დისკო გადახრით შუქ მიბინდული“. არა, ვინაა ისეთი, ვინც უარს ჰყოფს, რომ ეს უწმინდესი საგალობელი, ეს ნეტარ მყუდროების ჰიმნი ვითომც არ იყოს „სალმრთო იდუმალების ლოცვა“, ჩვენი ლიტერატურის უწინარესი და უბედნიერესი სალმრთო ჩურჩული.

მიუწდომელი მშვენიერება, ვით ამ მწუხრის გიშრის წამწამები, ნაზი სხივებით მოქარგული ხავერდის რკალით გარშემო ჩერტყმით და სწორედ ამიტომაა, რომ ტანჯვაშიც ივიწყებთ თავს, ივიწყებთ სოფელს, ეზიარებით მხოლოდ ბედნიერების, ნეტარების მათრობელა ხაზხაზის ნექტარს.

„მთაწმიდის“ სერიდან ძირს დაშვებული მგოსანი ქვეყნ-ს ხმაურობაში და ქლიავილში განიცდის საშინელს ობლობას. მარადიულ მყუდროების ნავთსაყუდარი ვერ ჰპოვა აქ, მიწაზე, დროის შავბნელს ფარგლებში, რამაც გააღრმავა მისი გულის იარა, რამაც დაჩრდილა და შავი მანდილით მიმოჰპურა მისი მაისისავით გაფურჩქნილი სიყრმე. ამაოდ დაუწყო მან ძებნა „იდუმალ ხმას“, ხმას „უცნაურს“; ეგზომ საკვირველებათა ცნაურებით ლანდსავით მთრთოლავს—უნდა იმღეროს, მაგრამ რა, როდესაც მის ჩონგურიდან ესმის „მოკლული გულის ოდენ ჩივილი“, სად წავა, ვინ გააგებინებს, თუ ვისი ხმაა „ხმა იგი უცნაური?“ მგოსანი ჰკვნესის, მგოსნის დაჭრილი გული ნამდვილი ნ-ჯახით გადაკაკული ნორჩი ნაძვის კვნესითა ჰქვებს და მიტომაა, რომ მის ჰანგებს დაუმთავრებელ ფსალმუნთა სახე აქვთ. „ბრმა სარწმუნოება“ ჩაკლული, „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო“ რა გასაკვირველია თუ წუთიერ თავშესაფარად ნაპოვნ „ტაძარსაც“ ზურგს შეაქცევს და „ფიქრთა გასართველად“ თვით მტკვრის „ლაჟვარდ ზვირთებსაც“ დასთმობს?

მეტის მეტად გაიწამა მგოსანი. მისი სული მრავალ გზით დაიჭრა რეალობის ჯვარედინს გზაზე. ჩაუკვირდება თავს, იქნებ წამება განგებით მოძღვნილია, როგორც „დევნის ხმა“, როგორც „შეუწყალო სინდისის“ დასასჯელადაო? და აი, მგოსანიც, დემონის ფრთებით დამსხვრეული, ერთგვარს კომპრომისებს დაადგება, იგი მუხლს იდრეკს და ლოცულობს. სასოება შემოკრებილმა მგოსანმა ამ დროს შექმნა თვალის მომჭრელი სიმფონია, ლოცვა მისი—ეს ფსალმუნთა ფსალმუნია, დაუჯდომელთა დაუჯდომელი, მხურვალე, აღგზნებული თვალებით, ყოველი სიტყვა სინტეზია უბიწოების, ფერთა ფერადი, ნათელი ნათლისა, სასოების დაღლ-ლი სული. სალმრთო ექსტაზი, უბიწოების სხივებით მიმოფრქვეული მისი სული მორწმუნის გულსავით იწვის და იკმევა უხილავი საცეცხლურითა, მაგრამ როდემდინ? ეს ანგელოზთა საკადრისი სალობელიც შეუწყნარებელია, ფატალურ ხელით შორს ნატყორცნი, აჰა, მგოსანი თავს მოევლება თავის მერანს და თვით „ააჟღერს ბედის კამათლებს“, შორს გარდაივლის გარს შემორტყმულ უფსკრულს, ფრთებს შემოამსხვრევს მძაფრად მყივარს „თვალბედით ყორანს“ და უგნურის გატაცებით სივრცეში თვალებ მიპყრობილი იზრდება, მაღლდება და, ვით პოეზიის სწორუპოვარი ნაპოლეონი, თვით „იდგამს გვირგვინს დიდებისას“, თვითონვე „ავლებს შარავანდედს“, „ჟამი მისია და ჟამისა ის არს იმედი...“

შავი მზის შვილი ტრფიალების ხეივანშიაც ისეთივე სათუთი და განსაკუთრებულია, როგორც საუკუნეთა კითხვების წინ. თქვენ გაკვირვებთ ერთი რამ, როგორ მოხდა, რომ ადამიანი, ვინც ამ მსოფლიო'ს ტალღებში ისე სცხოვრობდა, როგორც ძილში, ეტლის ქალწულთა „ლაწვზე აფურცლულ ვარდის“ მშვენების გადმოსაცემად, მათ გულმკერდის „ბუ-ეშურთა“ ლამაზად ასაწერად: მაგრამ მგოსნის სიყვარულში არის რაღაცა მიუწდომელი, ეპიურ სისასტიკით შეყინული, როგორც ამურის მარმარილოს ქანდაკება, რომელსაც მხოლოდ შვილდი მოუწევია და გასასროლი ისარი კი ცერთან შერჩენია. ჩვენი ღვთაებრივი მგოსანი „იმარხავს გულის უმანკოებას“, შორეულს სალამს აძლევს სათაყვანებელს, მისთვ-ს ჰპოვებს უმაღლეს გამოძახილს თავის ჩონგურის სიმებიდან და ასე გასწევს „დასაძინებელ... ჩანაცრილ გულით“... და როდესაც მის წინ აიმართება მთვარის სხივებში მობანავე ქქლუცის ლანდი, ან და როდესაც „განმარტოვებულს ფრიალოს კლდეზე“ იხილავს „ალვისხეს“, რომლის გვერდითაც „მოქმუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა“, როდესაც ჰხედავს, თუ „რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმატებს ოხვრას“, მგოსანი ამ დიად ბუნების სამკაულის უცნაურ ენით მოისმენს უმანკო სიყვარულის ზღაპარს. მტკვრის ოხვრა შეესმის მიჯნურის დამწვარ გულის სიმფონიად.

მაგრამ თუ სადმე არის სული და მშვენიერება, უთოოდ რომ ბარათაშვილის პოეზიაც მფლობელობს ორთავეს. მისთვის არ არსებობს ჟამ-, არ არსებობს სიბერე, როგორც არ არსებობს მილოსელ ვენერას სიბერე, მის ოქროს დალალთა შეჭაღარევება. მის თვითეული ლექსი აღ'ავსეა ამ უკვდავი სილამაზით. მსოფლიო აზროვნების პერსპექტივები, მყუდროება, უგნური ქარიშხალისებური შავი მერნით სრბოლა, „მრისხანე ვარსკვლავის“ მარადიული მზერა, თუნდაც იგი დიანას ისრებით გულს უგმირავდეს და მთელს ქვეყნის შხამს შთაასხავდეს, როგორც დასჯილ ფერიის სადაფის სურაში, არის ეს ნაწყვეტი, იოანე დამასკელის საგალობელთა დაუმთავრებელი ხმები თუ დასრულებული ვრცელი პოემა, სადაც ახატულია პოლიტიკურ მდგომარეობის სიდუხჭირე, რამაც საქართველოს დამოუკიდებლობის თეთრს ყვავილს ტლანქ წერაქვით გაუსრისა ნაზი კოკორი, სულ ერთის მშვენებით ჰსუნთქავს. უცნობი შოპენჰაურის ფილოსოფიისა ბედთან ბრძოლაში დამარცხების დროს იგი თავს არწმუნებს, რომ სიცოცხლე „სიზმარია“. „მიუწდომელობა ჩვენი მიზნის, გაუგებრობა ჩვენი ამ ქვეყნად დანიშნულების“ სამარის დუმილის მშვენიერებისაკენ ეზიდება, როგორც ნირვანას უბეში განსასვენებელ ადგილისკენ, იგი ეტრფის „მთაწმიდის“ სალმრთო იდუმალებას, თუ მტკვრის ტალღებით შენბანილს მდელოს, საიდანაც უმზერს ლაჟვარდ ზვირთთა“ თამაშს, რომელნიც არა თუ ფრინველთა და საცოდავ ქეთევანთა სამარადისო ჰამაკს წარმოადგენენ, არამედ „ჩინართა“ და ყვავილთა საუცხოვო კლავიატურას, რომ მგოსანს შესძლებოდა იდუმალ ფიქრთა ფრთით დაემღერნა სუმბულის კვნესა, რა მომხიბვლელი ელეგიით აღსავსეა აქ მგოსნის სული! ზვირთთა დუდუნში ნუ თუ არ გესმით, როგორ მოსჩქეფს მისი ცრემლების შეუწყვეტელი ღვართქაფი? აი, ამ ფიქრებში, ამ შფოთარ-მღელვარე და უღრესად მიდუმებულს მყუდროებაში, ამ გარკვეულს ტალღათა ბრძოლაში, ქარიშხალის ფრთები თუ ზმანებათა ფერიის ქსელში მიჰქროდა მგოსნის დღენი. მას არსად არ ეკავა ადგილი, არსად არ მოსჩანს ხორციელობა, არსად არა სჩნდს განტევება ხორციელობის. შეიძლება ამიტომაა, ვერარამ ვერ დასჩრდილა მის წინაშე მარადისობა, რომლის მონაქროლ ბედნიერებას და დამწველ ალერსს ისე იღებდა, როგორც კოსმოსის სუნთქვას. უსაზღვროება, უფსკრულთა ნაპრალები და ამავე დროს ტრაგიული მატერიალობა ამ ქვეყნისა სწრაფადა ჰქრება, ვით მოჩვენების წინ, თვით „შავი ყორნის“ ყვილიც ვერას დააკლებს გამმაგებულ მის მერნის ქროლვას, აქაა მგოსნის უმაღლესი დღესასწაული, აქაა მისი უძლეველი სულის უსაზღვრო გამარჯვება. თუ ათასში ერთხელ იგი მიჰმართავს „ურწმუნო გულის“ დასაჯერებლად დარღვეულს ტაძარს, თუ არ ეკრძალვის დაემხოს უხილავ განგების წინ, არა იმიტომ, რომ ჩვენს მაღლა გადაშლილია ვარსკვლავთა გუნდით მოჭედილი ცისა კამარ, ეს კანტის უღრესი სიხარული და აღტაცება, არამედ იმიტომ, რომ ყველა ამ გარემოს, ხილულს გარეგნობით იგი მიითვლის მხოლოდ ჩვენებად, და საკა ჩვენებაა-ზმანება, იქ ხომ არსებობაცაა! და აი, ჩვენი მგოსანიც იმ იჭვნეულობის ბურუსში, ოცნებაში, ზმანების ქსელში ისახავს ერთად ერთს იდეალს, განშორებას „თუ აქნობამდე არ ემონა მა'ს, არც აწ ემონოს მისი მხედარი“.

ბარათაშვილის პოეზია სხვათაგან განსხვავდება თავის მხატვრული სოლიფსიზმით. მასში, გარდა ერთიორი სამოტივის, არა არის რა საზოგადოებრივი. პოეზია იგი უაღრესად სუბიექტიურია, უმაღლეს ეგოიზმზე დამყარებული, რომელსაც ვერარა „საწუთრო“ ვერ აავსებს, ვერ დააკმაყოფილებს. იგი ჩვენი პოეზიის ნამდვილი ნაპოლეონია, ბაირონის კალმის ქარიშხლით მონავარდე, რომელსაც „თვით სამარეც კი ევიწროება“ თუ კი ტოლი აღმოუჩნდება. ობოლი იყო, უცნაურად მოვლენილი, შავი მზის სხივებით გადმოტყორცნილი და აკი კიდეც იმავე შავმა მზემ ტურფა მერანზე მოჯირითე თვალთაგან წარგვტაცა, არ [illegible] ქანცულობით თავგანწირული [illegible]რი“, და „ნათესავთ, წინაპართ საფლავს დაშორებული“, სატრფოს ცრემლების უნახავი, გამოხვეია შავს ღრუბლებში. მას აქეთია შავი მხედარი მზის ჭაბუკი, სამარადისო სარბიელზე „მიჰქრის უგზო უკვლოდ“, მის „მერნის ჭენებას არ უჩანს საზღვარი“, „სად ულამდება, იქ უთენდება, იქაა მისი მიწა სამშობლო“ და ერთად ერთს „ვარსკვლავთა თანამავალთა“ ამცნობს აქედან წარღებულს თვის „გულის საიდუმლოსა“. აქ შეუმცნობელს, მხოლოდ იქ ეხდება შავი პირბადე, მხოლოდ იქ, იმ სივრცეში ვხედავთ ნათელი სახით გაბრწყინებულს და გვწამს კიდეც, რანაირ ეგზოტიურ მხარეშიც არ უნდა მიფარინოს მისმა მერანმა, რანაირად უსაზღვრო უნდა გაჰხადოს ბედმა მისი ლტოლვა, იგი მაინც ჩვენთან იქნება, ჩვენი ქვეყნის ბედთან იქროლებს, ვინაიდან არ არსებობს სივრცე ულრმესი და უკეთილშობილესი სამშობლოს გულზე, არ არსებობს უსაზღვრო კიდე უცნაური ქვეყნებისა მშობლის სიყვარულზე უძლიერესი. ბარათაშვილი გულია ჩვენი ტანჯული ქვეყნისა, არა, გული კი არა, მისი ბედი! მოჰკალით, მახვილით გაჰგმირეთ ეს ქვეყანა, წარშალეთ მისი სახელი და მაშინ, სწორედ მაშინ დაგვშორდება ყარიბი მგოსანი, შავი მზის შავ რაინდათ მონავარდე უცხო ჭაბუკი!

დ. კასრაძე.

ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია

ნ. ბარათაშვილი, შინაურობაში ტატოდ წოდებული, დაიბადა 1816 წ. 22 გიორგობისთვეს. მისი მამა, მელიტონ ბარათაშვილი, იყო ძველებურად გაზდილი თავადიშვილი, ბუნებით მკაცრი და ფიცხი, ხოლო მეტ-ს-მეტად ხელგაშლილი და სტუმართ მოყვარე. ნამსახური იყო ჯერ თარჯიმნად, შემდეგ თბილისის მაზრის მარშლად. უკანასკნელს თანამდებობაში ხელგაშლილის ცხოვრების გამო იმან დაღუპა მთელი თავისი საცხოვრებელი, დავალიანდა და ბოლოს გაჭირებაში ჩავარდა. ნიკოლოზის დედა ეფემია—თავისის გულკეთილობით შესანიშნავი ქალი იყო, ასული თ. დიმიტრი ორბელიანისა და დაი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. ისიც შინაურულად იყო აზრდილი. შვიდის წლისა რომ შეიქმნა ბარათაშვილი, დედამ დააწყებინა ქართული წერა-კითხვა. შემდეგ მიაბარეს კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში. აქედგან გადაიყვანეს ენკენისთვეში 1827 წ. კეთილშობილთ სასწავლებელში, რომელიც 1830 წ. გადაკეთებულ იქნა გიმნაზიად. ბარათაშვილმა გიმნაზია დაასრულა 1835 წ.

ბარათაშვილი ბუნებით იყო ნიჭიერი, მხიარულის გულისა, ცელქი და ოხუნჯი, თუმცა ანჩხლი და ნერვებ აშლილი. როგორც მოსწავლე, სწავლით იყო სამაგალითო, ე-თი პირველთაგანი, ხოლო ყოფა-ქცევით კი უკანასკნელი, თავისის ცელქობისა და ოხუნჯობის გამო. თავისის სიანცისა გამო 1832 წ. ბარათაშვილი გადმოვარდა კიბიდგან და ორივე ფეხი სამუდამოდ დაიშავა. სასწავლებელში ყოფნის დროსვე დაიწყო ბარათაშვილმა ლექსების წერა. ამას გარდა გიმნაზიაში იღებდა მონაწილეობას რუსულს ხელთნაწერს ჟურნალში (Цвѣтокъ гимназіи), რომელსაც მოსწავლეები სწერდნენ. სკოლაში ყოფნის დროს ბარათაშვილის სანატრელი ის იყო, რომ შესულიყო სამხედრო სამსახურში. კურსი რომ გაათავა და მშობლებს გამოუცხადა თავისი სურვილი ჯარში შესვლისა, მათ უარი უთხრეს: კოჭლი ხარ და არ გამოდგებიო. როცა ეს ოცნება გაუცრუვდა, მაშინ ბარათაშვილმა მოინდომა უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ ამაზედაც უარი უთხრეს მშობლებმა, რადგან იგინი ძალიან გაჭირებულები იყვნენ ნივთიერად და მხოლოდ მისგან-ღა გამოელოდნენ დახმარებას და შველას. ამნაირად ბარათაშვილი იძულებული შეიქმნა სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და იმანაც აირჩია უზენაესის საქართველოს მართებლობის სამოსამართლო განყოფილება (Экспедиція суда и расправы Верховнаго грузинскаго правительства).

ბარათაშვილის დრო ისეთი უფერული და უნუგეშო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ თბილისში არ იყო არავითარი იმისთანა დაწესებულება, რომელშიაც შესაძლებელი ყოფილიყო კაცს გამოეჩინა უმაღლესის ბუნების თვისებანი, არ იყო არც ჟურნალ-გაზეთობა, არც თეატრი, არც რამე საზოგადო დაწესებულება ან სა-

ქმე. საზოგადო აზრი და საზრუნავი მაშინ საზოგადოებას არაფერი ჰქონდა-რა. სმა-ჭამა, საერთო ქეიფი, ქალებთან არშიყობა, მითქმა-მოთქმა და ჭორები იყვნენ ჩვეულებრივი დროს გასატარებელი საშუალებანი მაშინდელის საზოგადოებისა. მხოლოდ რავდენსამე პირს ამ უფერულს ცხოვრებაში არ დავიწყებოდა თავიანთ ქვეყანა, მისი მწერლობა, ისტორია და მომავალი ბედი. ეს პირნი შეხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ან სახლებში სადილ-ვახშამზე ან ქალაქს გარედ ბაღებში ქეიფ-სეირნობის დროს და მართავდნენ ლაპარაკს საქართველოს ძველს დროზე. ბარათაშვილი ამ პირთა შორის ერთი პირველთაგანი იყო, მას ყველაზედ მეტად უცემდა გული სამშობლოს სიყვარულით, ყველაზედ მეტად უყვარდა ქართული მწერლობა და ყველაზედ მეტად უკვნესოდა გული საქართველოს დავარდნილობისა და საზოგადოების უფერულის ცხოვრების გამო. მართალია, ბარათაშვილი ძალა-უნებურად ემორჩილებოდა მაშინდელს ცხოვრებას და მის ტალღებში ჩათრეული ისიც ისე ატარებდა დროს, როგორც სხვები; ქეიფი, ცეკვა-თამაში, მითქმა-მოთქმა, არშიყობა და ჭორიანობა მისთვისაც ჩვეულებრივი დროს გატარება იყო; მაგრამ როდესაც მის მგრძნობიარე და ფაქიზს ბუნებას იმნაირი უაზრო ცხოვრება მოსწყინდებოდა, როდესაც მისი გონება და აზრი გამოფხიზლდებოდა და დაინახავდა მის ცხოვრების სრულს სიფუჭეს და არარაობას, იგი მიეცემოდა ხოლმე მწუხარებას, რომელიც გამოუხატავს მას თავისს ლექსებსა და წერილებში.

იმ ლექსებს გარდა, რომლებსაც ჩვენამდის მოუწევიათ, ბარათაშვილს დაუწერია ბევრი სხვა, რომლებიც თითონვე დაუხევია, რადგან არ მოსწონებია შემდეგში. სხვათა შორის ცნობილია, რომ მას ჰქონია დაწერილი დიდი პოემა სახელად **„ივერიელნი“**, რომელშიაც აწერილი ყოფილა საქართველოს ისტორიული ამბები X, XI და XII საუკუნოებისა, და უთარგმნია ლეიზევიცის ტრაგედია **„იულიუს ტარენტელი“**, რომელსაც თვით პოეტი იხსენიებს. ამ მიზეზის გარდა ბარათაშვილის ნაწერების სიცოტავე აიხსნება იმით, რომ ჯერ ერთი, ძალიან ადრე გადაიცვალა (29 წლისა) და არ დასცალდა დაეწერა, რის დაწერაც შეეძლო, მეორედ მაშინდელს დროს, როდესაც ლიტერატურულს შრომას დიდი ფასი არ ჰქონდა, არაფერი იწვევდა პოეტს შემოქმედებისათვის შინაგანის პოეტურის ბუნებისა და საკუთარის შთაგონების მეტი. თუმცა ცოტაა ბარათაშვილის ნაწერი, მაგრამ იგი ძალიან დიდის ღირსებისა და მნიშვნელობისაა, რაიცა ჩვენს პოეტს უპირველესს ხარისხზედ აყენებს ჩვენს მწერლობაში.

სამსახურში ბარათაშვილი ძალიან გულმოდგინე იყო. 1842 წ., როდესაც სამხედრო მინისტრმა რევიზია უყო თბილისის სამოქალაქო დაწესებულებათა, მთავარმართებელმა პოზენმა ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ ბრძანება გამოსცა ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში*). მაგრამ ბარათაშვილი არ იყო კმაყოფილი თავისის ადგილისა სამსახურში. მას სწყუროდა უფრო დიდს ადგილზე მოღვაწეობა, რომ ესახელებინა თავისი თავი და სარგებლობაც მოეტანა ქვეყნისათვის, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა და მომეტებული დრო თავისის სამსახურისა სტოლისუფროსობაში გაატარა. მხოლოდ 1844 წ. გიორგობისთვეში გაწესებულ იქნა მაზრის უფროსის თანაშემწედ ნახჩევანში. რაღა თქმა უნდა, რომ არც ეს სამსახური დააკმაყოფილებდა მას, მეტადრე იმისთანა მიყრუებულს და შორეულ ადგილში, როგორიც იყო ნახჩევანი. რავდენისამე თვის შემდეგ 1845 წ. ბარათაშვილი დაბრუნდა ნახჩევნიდგან და დაიწყო მეცადინეობა, რომ გადაეყვანათ იმავე თანამდებობაზე თელავში, მაგრამ მის მოულოდნელად იგი გადაიყვანეს განჯაში იმავე თანამდებობაზე. აქ ბარათაშვილმა იცოცხლა რავდენიმე თვე და გადაიცვალა 1845 წ. 9 ღვინობისთვეს, ოც-და-ცხრა წლისა, ნიჭითა, გრძნობითა და სიცოცხლით სავსე. ბარათაშვილი დამარხულ იქნა განჯაშივე საყდრის გალავანში. მხოლოდ ორმოც-და-რვა წლის შემდეგ, 1893 წ. 25 აპრილს, მისი ნეშტი გადმოსვენებულ თბილისში და დამარხულ იქნა დიდის ამბით და პატივით დიდუბის საყდრის ეზოში.

ბარათაშვილის გარდაცვალება დიდად სამწუხაროდ დარჩათ მის ნათესავებს და მეგობრებს, რომლებიც კარგათ იცნობდენ. მას დიდადაც აფასებდნენ. ამ მწუხარების წარმოსადგენად ჩვენ მოვიყვანთ ადგილებს ორის წერილიდგან, რომლებშიაც იხსენება მისი გადაცვალება. ერთში პოეტის ბიძა თ. ილია ორბელიანი სწერს თავისს ძმას გრიგოლს თბილისიდგან 29 გიორგობისთვეს 1845 წ.: „ამ საწყლების მელიტონის და იმის ცოლშვილის ყურებისთვის ვეღარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგიჟდები და აღარა მესმის რა; ჩვენი სიცოცხლე ტატო **გარდაიცვალა** განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არა ხედავ! შენი ჭირიმე გრიგოლჯან! ეს ამბავი ქრისტიანებრიის მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწუხებ მაგ ავათმყოფობაში თავსა“.

მეორე წერილში პოეტის მეგობარი და ნაამხანაგარი თავ. ლევან მელიქიშვილი სწერს ისევ გრიგოლ ორბელიანს თბილისიდგან 19 იანვარს 1846 წ.

„ძმაო გრიგოლ, არ ვიცი რანაირად აგიწერო ის საშინელი გრძნობა, რომლითაც აივსო ჩემი გული საწყალის ბარათაშვილის სიკვდილის გამო; იმაში დავკარგე არა მხოლოდ სკოლის ამხანაგი, არამედ მეგობარიც, რომელსაც ბავშვობიდგავნე ვუხსნიდი ჩემის გულის ყოველს კუნჭულს და რომლის მეგობრულის ურთიერთობით ვსარგებლობდი. სამძიმოა, ჩემო გრიგოლ, სამძიმოა დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისი სგამთბარის სულით და გულით გვაზავებდა ადამიანებთან, ამ უძღურს და ბოროტს ქმნილებებთან. სამძიმოა სულით დაობლება! მარტო მე არ დამიკარგავს ეს დასაკარგი, საქართველომ დაჰკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავისს მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ახალგაზდა კაცი, სავსე მშვენიერის და ბრწყინვალე ნიჭით, რომლისაგანაც გამოელოდა მეტს, ვიდრე რომლისამე სხვა ახლანდელის თავის ახალგაზდა შვილისაგან. მშობლებმა დაჰკარგეს იმაში თავიანთ მოხუცებულობის და მთელის ოჯახის ბურჯი, ნათესავებმა კეთილი ნათესავი, ქართველებმა ერთი საუკეთესო თანამემამულეთაგანი.—იქნება ვცოდავდე, მაგრამ არ შემიძლიან არა ვთქვა: სად არის ის ზენაარი სამართალი, რომელზედაც ყოველდღე გველაპარაკებიან, რატომ წაერთვა ასე უდროოდ ადამიანებს მეგობარი, სამშობლოს მისი ნიჭით სავსე მოსიყვარულე შვილი, მშობლებს სიცოცხლით ალსავსე ძე და უკანასკნელი ბურჯი? აბა მითხარ, სადა ჩანს აქ სამართალი?

„ახლა გახარებ მით, რომ შეგატყობინებ რანაირად პატივი სცეს მას და მის ნიჭს ყველა მისმა ნაცნობებმა.—14 იანვარს (ნინოს დღეობას*) რავდენიმე ახალგაზდა ქართველი ვსადილობდით რევაზ ანდრონიკაშვილთან, ჩვენ შორის იყო ყიფიანი, რომელსაც ვთხოვეთ მღერა **სულო ბოროტო**, მაგრამ შეგიძლიან წარმოიდგინო, რომ არც მას, არც არავის ჩვენგანს არამც თუ არა ახსოვდა ზეპირად ეს ლექსი, არამედ არც ჰქონდა გადაწერილი თავისთვის ეს მშვენიერი ლექსი. ყველანი გულით ნანობდენ, რომ განსვენებულის მშვენიერნი ნაწარმოებნი იკარგებოდენ. მაშინ გადაწყვეტილი იქნა, რომ დაბეჭდილიყო განსვენებულის ყველა ლექსი ჩვენის ხარჯით. მეორე დღეს გავმართეთ ხელის მოწერა მის ნათესავთა და ნაცნობთა შორის ფულის შესაგროვებლად, რომ დაბეჭდილიყო როგორც იმისი საკუთარი ნაწერები ისე თარგმანები იმ აზრით, რომ შენახულიყო ჩამომავლობისთვის განსვენებულის ნაწერები და გაყიდულის წიგნების შემოსავლის ერთის ნაწილით დადგმულიყო მისი ძეგლი, ხოლო მეორე ნაწილი გადადებულიყო მის ოჯახის სასარგებლოდ. ხუთს დღეში 17 კაცმა გამოიღო 1000 მანეთი. აქედან შეგიძლიან დაინახო რა ძლიერი ყოფილა მისდამი სიყვარული მის ნაცნობთა.—ახლა ვკრებთ განსვენებულის ყველა ნაწერს, ისინი დაიბეჭდებიან ერთს წიგნად, რომელსაც თან დაჰყვება მისი პორტრეტი.

„შენთან კი აი რა სათხოვარი გვაქვს: 1) უნდა დაწერო, რასაკვირველია, ქართულად და, თუ შეიძლება ლექსად წინასიტყვაობა, განსვენებულის ბიოგრაფია და ძეგლისთვის ეპიტაფია, და 2) უნდა გამოგზავნო, თუ გაქვს რომელიმე მისი ლექსი ან წერილი, რომელიც გამოდგებოდეს დასაბეჭდად, და აგრეთვე 80 მანეთი, რომელიც შენმა ძმამ ზაქარიამ მოაწერა შენ მაგიერ. *)—არ ვიცი, **ბედი ქართლისა** როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთა ალაგი ძალიან თავისუფალი არი; თუ გასწორდება, კარგათ იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი, პოემა მაგრამ ამის ამბავსაც შეგატყობინებ რასაც ვარჩევთ“.

სამწუხაროდ, მეგობრების სურვილი ვერ განხორციელდა, შეგროვილს ფულს სხვა დანიშნულება მიეცა და მხოლოდ ოცდა ათის წლის შემდეგ, 1875 წ., ეღირსა ბარათაშვილის ლექსებს ერთს წიგნად გამოცემა. მანამდის კი მისი ლექსები ვრცელდებოდა ხალხში ხელთნაწერებით და იბეჭდებოდა ცალკე სხვა და სხვა ქართულს ჟურნალებში.

დ. კარიჭაშვილი.

---

*) ეს ამბავი ბ-ნს მეუნარგიას გაუგონია თ. ლევ. მელიქიშვილისაგან.

*) არ ვიცი—იცი თუ არა, პირველი საყვარელი საწყლისა იყო ნინო. არც ის ვიცი—იცი თუ არა, რომელი ნინო იყო (შენიშვნა ლ. მელიქიშვილისა).

*) აქამდის ეს წერილი დაწერილია რუსულად, ამის შემდეგ კი, ისე როგორც ზემოდ მოყვანილი შენიშვნა, ქართულად.

ვეძიოთ სახე!

(ნიკ. ბარათაშვილის ახალ სურათზე)

სევდის დღეებში დავეძებდი სახეს დაკარგულს,
ობოლი სული უხილავად მარად თან მსდევდა;
ჩემმა ლექსებმა მისნი ფიქრნი შემოისევდა,
შეშლილ ღამეებს ვუთენებდი ჩემს გულში დარგულს.

წითელ გალობით მივეგებე სახეს მოქარგულს,
მე იმის ხილვამ გარდამიხსნა მალული რიდე;
მის გაშლილ წარბებს ვევედრები: „ძველს ამარიდე!“
უხმოდ ვინთები, რომ დავეცე სამშობლოს ორგულს.

სახეს მგოსნისას დღეს სამშობლო ეტრფიალება,
დიდის ხნით მალულს, დღეს ყოველი შესცქერის ლხინით;
ბობოქრობს ერი: „მის სამშობლოს სჭირია ლხენა!“

დახრილი დროშა აწ, საცაა, აფრიალდება,
ხელი მერანი ემზადება გასწყვიტოს მახე...
საქართველომაც უნდა ჰპოვოს თავისი სახე...

ლელი ჯაფარიძე

სიყვარული ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში

(კრიტიკული ნაწყვეტი)

ალ. ჭავჭავაძემ საუცხოვოდ დაგვიხატა სიყვარულის ხორციელი მხარე, სხეულის სილამაზესთან დაკავშირებული. ნიკ. ბარათაშვილმა დაგვიხატა მშვენიერება და სიყვარული იმ მხრით, რა მხრითაც მათ შესახებ ახალი რომანტიული სკოლა მსჯელობს. მის ლექსებში ვერსად შეხვდებით ისეთ ადგილებს, რომლებშიაც იყოს გატარებული ხორციელ სიყვარულით და მასზე დამყარებულ ვნებათა ღელვით გატაცება; ან ესრედ წოდებული, წუთიერი პირუტყვული მხარე სიყვარულისა, რასაც ბოლო დროს ვხედავთ ქართულ ახალ დარგის მწერლობის ზოგიერთს ნაწერებში... მის ლექსში: „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?“ (დაწ. 1842 წ.) გამოხატულია პოეტის ფილოსოფიური შეხედულება მშვენიერების შესახებ... ამ ლექსში უარყოფილია ის აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ სიყვარულის განსამტკიცებლად საკმაოა მხოლოდ სილამაზე, პოეტის აზრით, ხორციელების ნიჭია, მისი კუთვნილებაა... ბერდება ხორცი, ბერდება და სჭკნება სილამაზეც...

„და გული მხოლოდ მისდა (სილამ.) შენამსჭვალები
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები.“

პოეტის სიტყვით,

„მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, სული და გული:“

ადამიანი ღვთის ნაწილია, და მის გულს შეუძლია ჰქონდეს „ტრფობის საუკუნო მადლი“.

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს;
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს?“

როდესაც ორი ასეთი მშვენიერებით დაჯილდოებული სული ერთმანეთს დაუახლოვდება, მათ შორის ურთიერთობა დაუსრულებელი იქნება:

„კავშირი ასეთს სულთა შორს სიყვარულსა
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“.

ასეთ სულთა კავშირი წარმოშობს ისეთს სანუკვარს გრძნობას, რომ მასზე უტკბესი სასუფეველიც აღარ არის. ამ კავშირს „ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება“.

ხსენებულ ლექსით მშვენიერების შესახებ ნ. ბარათაშვილმა **ქართულ პოეზიას და ერს** მიუთითა სხვაგვარ სიყვარულზე, რომელიც შორს დგას იმ სიყვარულიდან, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე უმღერდა. ნიკ. ბარ. დაგმო ქვენა გრძნობები, ხორციელნი ვნებანი, რაც მაჩვენებელია საზოგადოების ზნეობის უკიდურეს დაცემისა და მისთვის ცუდ მერმისის მაუწყებელია. ზნეობით დაცემული, გათახსირებული, ღვინის, მუცლის და ქვენა გრძნობათა მიმდევარი ერი—თვის არსებაში ატარებს გადაშენების, დედამიწიდან აღმოგვის და გაქრობის უტყუარ შხამს. ცხადად სჩანს, რომ პოეტის დროსვე ქართველთა მოწინავენი სულით დავრდომილობას ეთხოვებოდნენ, მათ იმედის სხივი უბრუნდებოდათ და ამის გამო გრძნობა პატიოსნდება და, მაღლდებოდა ღ მათი ხასიათის სიმტკიცის საფეხურს უახლოვდებოდა, და ამის გამო სიყვარული მათ მიაჩნდათ არა თუ მხოლოდ ხორციელ სიამოვნების წყაროდ, არამედ უფრო მაღალ ხარისხის მისწრაფებათა მზრდელად. ეს კია, რომ პოეტის მიერ გამოხატული სიყვარული იდეალურია, თითქოს განუხორციელებელია, მაგრამ ქართველ ერის სოფლ - მხედველობის ფსიხოლოგიურ პროცესიის ისტორიაში მისი ასეთი დიადი ჰაზრი ერთს ფრიად-მნიშვნელოვან მომენტს, საფეხურს წარმოადგენს და უჩვენებს, რომ ქართველმა თავის განვითარებაში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში წინ წადგა ბიჯი, სხვა განათლებულ ერებთან ერთად... ლექსში: „რად ჰყვედრი...“, რომელიც პოეზიის თეორიის მოთხოვნილებას ხელოვნებითი ნაწარმოების შესახებ მაინცა და მაინც არ აკმაყოფილებს, არის ჰაზრთა პოეზია, პოეზია მსჯელობათა საფუძვლიანობისა, ინტელექტუალურ-ეთიკურ ემოციების აღმძვრელი, დამყარებული ხალხის შინაგანს, სულიერ ბუნებაში ჩასახულ სოფლ - მხედველობაზე. მართლაც პოეზია უნდა იყოს არა მარტო საღმრთო-საღმრთოდ გასაგონი, არამედ მსმენელთათვის დიდი მარგიც (შოთა). პოეტი არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოგზავნა ქვეყნად ცამ, არამედ ერში ჭეშმარიტების მთესველად, ერის წინამძღვრად ჭირსა და ლხინში. ზნეობითი გახრწნილებას ჩვენს ხალხში ყოველთვის ჰკიცხავდა პოეზია... მიჯნურობა (სიყვარული), შოთას აზრით, სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი... იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი... პოეზიაც ვალდებულია ემსახუროს ყოველსავე მას, რაც წმინდაა, მაღალია, მშვენიერია, კეთილია ცხოვრებაში... ჰაზრს და მხოლოდ ჰაზრს, პისარევის სიტყვით, შეუძლია გარდაქმნას და გადააკეთოს ადამიანის ცხოვრების მთელი აგებულება... და ამ ჰაზრს ქართული პოეზიის საუკეთესო მესვეურნი მოკლებულნი არ იყვნენ. შოთამ სიყვარულის განდიდებას მიუძღვნა მთელი თავისი უკვდავი ნაწარმოები. შოთას მიერ შექმნული სიყვარული უანგაროა, ღრმაა, განშორებულია ქვენა გრძნობებს... თითოეული შეყვარებული მის ნაწარმოებში ფიქრობს თავი ჭირს არ დაარიდოს საყვარელ არსებისათვის, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად. აი რასა სწერს ქაჯეთში დატყვევებული ნესტან-დარეჯანი ტარიელს:

„შენი სიცოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად.
მომიგონებდე, გახსოვდე
მე შენთვის დაკარგულისად.
წადი, ინდოეთს მიმართე
არგერამ ჩემსა მშობელსა...
მომიგონებდე მტირალსა,
შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა“.

ნესტანში ვერ ვხედავთ პირად გრძნობას, თავის „მე - ს, თაყვანისცემას, პირადს სიამოვნებას. მას, დატყვევებულს, სიკვდილი აღარ უმძიმს. იმას სურს ტარიელი დარჩეს, ტარიელი ცოცხალი და სტკბებოდეს იმ ნიჭით, რომელსაც სიცოცხლე იძლევა... „შენ მკვდარსა განახავ და ვიწვი, ვითა აბედი კვესითა“—სწერს მას ნესტანი... რომ ტარიელს რამე მოუვიდეს, ნესტანი თავს მოიკლავს: „აქა თავსა გადავიქცევ, ახლოს მახლავს დიდი კლდენი“... ცხადია, რომ ერთი არსება თავის თავს მთლად შთანთქავს მეორე არსების ბუნებაში, თავის თავს უარჰყოფს მეორე არსების საბედნიეროდ... ამ შეგნებით გამსჭვალული ნესტანი მშვიდად მოკვდება:

„თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,
სიკვდილიც მქონდეს ტკბილი!“-ო.

ძლიერ ცოტაა მსოფლიო ისტორიაში ასეთი ლამაზად გამოქანდაკებული და ჩამოსხმული ღრმა აზრები სიყვარულის შესახებ. ეს გარემოება გვიმტკიცებს, თუ რა მაღალ საფეხურამდის მიაღწია ქართველმა ერმა წმ. თამარის დროს, თვისის, ზნეობრივი სიწმინდის მხრით. ასეთი სიყვარულით დაჯილდოებული იყო მრავალი ქართველი კაცი და ქალი. ამითი იყო ძლიერი საქართველოც... ხან-გამოშვებით ქართულ პოეზიაში შემოიპარებოდა ხოლმე სიყვარულის შესახებ მდაბალი ხარისხის ჰანგები, მაგრამ ამ გარემოებას დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ერის სულიერი განწყობილება ასეთს მოვლენას ვერ ეთვისებოდა. ერის სული, გონება, მისი ბუნება ეძიებდა უფრო მაღალ ხარისხის ჰანგებს... ნიკ. ბარათაშვილმა ანდერძი აუგო ქვენა გრძნობებზე დამყარებულ ხორციელ სიყვარულს. მსოფლიოს მეფე—ადამიანი, დაჯილდოებული მარადისობის და დაუსრულებლობის მაძიებელ გონებით, რის ადამიანია, თუ ქვენა, პირუტყვულ გრძნობებს აჰყვება?! თავის პოეზიაში ბარათაშვილი დედაკაცს აყენებს ერთ საფეხურზე მამაკაცთან, გვიმოძღვრებს პირველის თანასწორობას მეორესთან და ხდის მას თანასწორ სრულ უფლებოვან მონაწილედ იმ უანგარო სიყვარულის სამეფოში, რომელიც სულის მშვენიერებაზეა დამყარებული. დედაკაცი, სჩანს, პოეტს არ მიაჩნდა მამაკაცის მხოლოდ ხორციელ ვნებათა დამაკმაყოფილებელ არსებად, ტიკინად და უბრალო ნივთად, როგორც ამას ჰგონებდნენ ბერძენთა თვით დიდებული ფილოსოფოსები (პლატონი და არისტოტელი)...

პოეტს, დაჯილდოებულს სიყვარულის შესახებ ასეთი ღრმა შეხედულობით, ენატრებოდა, რომ ის თვითონ იყოს მზე ცხოველ-მყოფელი, ხოლო მისი სატრფო კი—ცისკარი შვენიერებისა, რომ განაცოცხლოს მდელო სიცხითა დამჭკნარი. მას სურს—ჰქონდეს სატრფოსთან სამარადისო კავშირი:

„იყვნენ მარად ის უხსნელად
სოფლისა განსათავებლად“...

პოეტს არ მოსწონს სამი ჯურის ქალები:

პირველ ჯურის ქალები არიან მოკისკისე კეკელა ქალები,

„სულის დამტყვევნელნი
და გრძნობათა ცუდ მომღერალნი,
აშიკი ენა მათ ახარებს და ასულდგმულებს,
ხოლო სიყვარულს გული მათ ვერ მიიკარებს“.

ეს ქალები შოთას ფატმანის მსგავსი ქალებია, რომელნიც გაჩენილნი არიან აღვირაუშვებელ ვნებათა დასაკმაყოფილებლად... ახალგაზრდობა მათ უნდა ერიდებოდეს, როგორც მომაკვდინებელ შხამსა.

მეორე ჯურის ქალები არიან გადაგვარების გზაზე უკვე დამდგარნი... იმათ შესახებ პოეტი გარკვევით ბრძანებს:

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გამოუცვალა მათ გული ცხოველ,
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს.
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!“

ეს ის ქალებია, რომელნიც დედაენაზე ლაპარაკს არ კადრულობდნენ, მისდევდნენ საკუთარ სიამოვნებას, თვით არ ზრუნავდნენ თავის შვილთა აღზრდისათვის, არ ნაღვლობდნენ მამულის დაგირავებას და გაყიდვას, ოღონდ საპირადო სიამოვნება თავის თავისთვის მიენიჭებინათ.

მესამე ჯურის [illegible] ზნეობრივად [illegible] არიან, მაგრამ არ აქვსთ გამორკვეული საგანი თვისი არსებობისა, არ აქვსთ შემუშავებული ცხოვრების მიზანი, ესრედ წოდებული, იდეალის რამ მსგავსი... ვისაც ეს იდეალი აქვს, ადვილად წინააღუდგება განსაცდელს, შეებრძოლება დაბრკოლებათა, რაგინდ ძლიერნი უნდა იყვნენ, და უდროვოდ, თავის ხელით ლაჩარი ვით სიცოცხლეს არ მოისპოს მდინარის ტალღათა შორის ჩავარდნით; ისე, როგორც სამას ჩადის პოეტის ქეთევანი, ქსანში თავდასახრჩობად გადავარდნილი... ღრმად შეგნებული და თავის მოქალაქობრივ უფლებათა ცხადად მაღიარებელი ქალი ასე არ მოიქცევა, თუნდ მიჯნურმაც უღალატოს. ის ეცდება სოფლად იყოს და სოფელს რამე არგოს კულტურულად.

პოეტის თანაგრძნობა არ ეკუთვნის ამ სამი ჯურის ქალებს... მისი ფანტაზია, როგორც რომანტიკოსისა, ეძებს ქალის იდეალს წარსულში... მოსწონს, ის ეტრფის ისეთ ქალებს, რომელნიც გვხიბლავენ არა თვისი გარეგნობით, არამედ თვისი სპეტაკი სულით, თვისი მტკიცე ხასიათით, თავისი მხურვალე მამულიშვილურ გრძნობით.

ასეთი ქალია—სოფიო, სოლომონ ლეონიძის ცოლი... ეს თითქოს უკანასკნელი ქართველი ქალი იყო... აღზრდილი მშობლიურ ქართულ ნიადაგზე, რომელსაც მამულის სიყვარული დედის რძესთან ჰქონდა შეტკბობილი... ახალს ქართლს, რუსულ საქართველოს არ გაჩნდა იმისი მსგავსი ქალები... ამიტომ ძველ ქართველ დედებს შენატრის მგოსანი, როდესაც ბრძანებს:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა,ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენ გვარი?!..

ამ საკითხის მწარე პასუხს მგოსანს აძლევდა ქართველი ერის მწარე თანამედროვე სინამდვილე.. მოჰკვდა ამ სინამდვილით გულგატეხილი, თუმცა არა სავსებით უიმედო, ის იქ, ცის სამყაროში, ეძიებს ნუგეშს:

„მოვჰკვდები, ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს,
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!“.
„ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეზით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს“.

ილ. ფერაძე.

ნ. ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვის ისტორია

XIX საუკუნის დამდეგიდამ, ქართველ ერის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოსპობასთან ერთად, ქართველებმა ცუდს ქართულ ენაზედ და ქართულ მწიგნობრობაზე ხელი აიღეთ. რადგანაც სახელმწიფო ენა სხვა იყო, ქართული ენა ჩვენ მეტად ვსცანით, ქართული ენა გლეხების ენად იქმნა მიჩნეული.

დიდ-კაცობა ქართულის ენისა, წიგნისა და საქართველოსაგან შორს გადგა. საქართველოში მოისპო ქართული წიგნის ბეჭდვა 1803 წლიდან, ქართული გაზეთებისა—1832 წ., სკოლებშიაც მოსპობილ იქმნა ეს ენა. ვიწყეთ გადაგვარება და გარუსება. ყველა ქართველი გარუსებას ჰნატრობდა.

„კავკასიის აქტებში“ მოყვანილია შემდეგი ცნობა. საქართველოს მთავარ მართებელი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებს:—„ქართველებმა რუსები და რუსული ენა ისე შეიყვარეს, რომ ყველა ქართველ კეთილშობილს დღეს თავის თავი რუსად მიაჩნია და არა ქართველად, ვისაც ჰკითხავთ ამაზედ რასმე, ის მაშინათვე პასუხს მოგცემსთ, რომ იგი რუსია და არა ქართველი“. ამ ოფიციალს ცნობას გარდა ჩვენ სხვა ცნობებიც გვაქვს, ზეპირათ ხალხში დარჩენილი. აი ამის მაგალითიცა:

პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა პოეტს გრიგოლ ორბელიანს შემდეგი ამბავი უამბო 1877 წ. რის მოწმე მე თვითონ ვარ. ეს ლაპარაკი მათში გამოიწვია ბარათაშვილის ლექსების დაბეჭდვის საქმეში ვახტანგ ორბელიანის სიტყვამ:

ჩემო გრიგოლ, მე და ნ. ბარათაშვილი ერთ დღეს ჩვენსას ვიყავით და ერთიმეორის ლექსებს ვკითხულობდით. იქვე სტოლზედ ჩვენი ლექ-

სების რვეულები გვეწყო, რომლებიც უნდა წაგვეკითხა და შეგვესწორებინა. ამ დროს, მამაჩემი შემოვარდა გააფთრებული, ხელში ერთი ქაღალდი ეჭირა, ჩვენსკენ მოიბრუნა პირი და დაგვიწყო ყვირილი:

„თქვე წყეულებო და მ . . . ბო, მე თქვენი ქართული ლექსების წერა კი არ მინდა, რომ **გლეხების** ენაზედ სწერთ და ლაპარაკობთ, აი ამის დაწერა ისწავლეთ, ამის დაწერა, რომ ამის ძალით ჩემის ძმის ოხტში მოვიდე და თავი არ დავაჩაგვრინო, ჩემი მამაპაპეული მამულები წავართვა.“

ქაღალდი, რომელიც პოეტის მამას ეკავა, თურმე რუსულად დაწერილი განსაჩივრება, თუ აპელაცია იყო.

ასე იყო მაშინ საქმე დაყენებული, და ამიტომაც წლები წლებს მისდევდა და მთელს საქართველოში ქართული წიგნის ბეჭდვის ხმა კი აღარსად ისმოდა. ნამეტურ 1832 წ. შემდეგ, თბილისის სტამბებში, სოლ. დოდაშვილის მოქმედების გამო, ქართული ასოებიც კი მოსპეს, სტამბებში ასოები მოაგროვეს, ყუთებში ჩაყარეს და სარდაფებში დამალეს, რომ ქართული ასოები აღარავის ენახა და რამე წიგნი, ან ფურცელი არ დაებეჭდა. ასე იყო საქმე დაყენებული და ამ საქმეს თვით მთავრობის კანონიც იცავდა.

XIX საუკუნიდამ სახორციელო შინაარსის წიგნები კი არა, ქართულს ენაზედ თვით ლოცვის წიგნები და სახარებაც არ იბეჭდებოდა. ამათი დაბეჭდვაც კი საშიშათ მიაჩნდათ, რადგანაც ეს საეკლესიო წიგნები რომ დაიბეჭდოს, სტამბებში ქართული ასოები უნდა გამოჩნდესო და, ვაითუ მერე ქართველებმა ჩვენ წინააღმდეგ სხვა წიგნების და პროკლამაციების ბეჭდვაც მოაყოლონო, რის მაგალითიც არის სოლ. დოდაევის სტამბა და მისგან დაბეჭდილი რუსის მთავრობის წინააღმდეგ წიგნების და პროკლამაციების ბეჭდვაო.

ამიტომაც ქართული ასოები და წიგნის ბეჭდვა შეაჩერეს საქართველოში. მოსკოვის სინოდის რუსულ სტამბაში გააჩინეს ქართული ასოები და საეკლესიო წიგნების ბეჭდვა თბილისიდამ მოსკოვში გადაიტანეს.

მეტად ძნელი იყო მაშინ ქართული წიგნის ბეჭდვა. ძლივს, რის წვალებით, 1832 წლის შემდეგ, მხოლოდ პ. იოსელიანმა სცადა და 1837 წ. ორი ქართული წიგნი დაბეჭდა თბილისში, თამარ მეფის ოდები ჩახრუხაძისა და შავთელისა. იგივე პლ. იოსელიანი ეცადა და 1847 წ. გამოსცა ქართულ ენაზედ ქართული პატარა კალენდარი, და 1845 წ. პატარა ქართული ანბანის წიგნი. ეს ანბანის წიგნიც პირველი მაგალითი იყო. ამ დრომდის მთელს საქართველოში კაცი ქართულ ანბანის წიგნს ვერსად იშოვნიდა, სხვა რისამე ბეჭვდის ხსენაც აღარსად იყო.

ასეთ უწიგნობის დროს მეტად სულით მაღალი კაცი უნდა ყოფილიყო, რომ რამე ეწერნა. კარგი, მაგარი გულის კაცი უნდა ყოფილიყო იმ დროს, რომ ხალისი ჰქონოდა ქართულს ენაზედ რამის დაწერისა. ერთხელ პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა აი რა სთქვა ქართული წიგნების ბეჭდვის გამო. ეს ლაპარაკი გამოიწვია გ. მუხრანსკის წიგნმა. ამ ლაპარაკს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. აქ ჩვენ მოკლედ მოვიყვანთ მხოლოდ პოეტის ნალაპარაკევის ერთს ნაწყვეტს.

— „კაცო, ქართული ენა აღარავის უნდოდა, ქართული ენა გლეხების ენად იქმნა ცნობილი, ქართულს ვინ რაღა თავში იხლიდა, ჩვენც თუ ვსწერდით რამეს, ლექსებს, ან პროზას, იმას ვსწერდით ჩვენი ნათესავებისა, მეგობრების და ნაცნობებისთვის. ქართულს ვინ რაღა თავში იხლიდა. ქართულის ბეჭდვა სულ ივან ივანიჩის (კერესელიძის) საქმე იყო. ამან აიტეხა ამის ბეჭდვა და ამან დაიწყო „ცისკრის“ გამოცემა, თორემ ქართული ყველას მიავიწყდათო“.

აი ასეთს პირობებში იყო იმ დროს მთელი ქართველობა, როცა ნ. ბარათაშვილი ლექსებს სწერდა. ნეტა რას ფიქრობდა პოეტი თავის ლექსების წერის დროს, როცა ქართული წიგნის ბეჭდვის ხსენებაც არ იყო? იქმნება მას იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე თავის ლექსებს დაბეჭდავდა, შეიძლება ესეც და იქნება ამიტომ არ იტეხდა გულს და სწერდა ლექსებს.

ნ. ბარათაშვილი ისე გარდაიცვალა, რომ მას თავის ერთი დაბეჭდილი ლექსიც არ უნახავს, მაგრამ მისი ნაწერები ხელნაწერად ვრცელდებოდა ხალხში და მთელი ქართველობა კითხულობდა.

ნ. ბარათაშვილის თანამედროვე პირი გახლავსთ თავ. გიორგი ჩიქოვანი, ქართველი კათოლიკე, თავის დროის კვალობაზე დიდად განვითარებული მწერალი და ქართული მოლექსე, ლექსები ზოგიერთი 1857 წ. ჟურ. „ცისკარშიაც“ იბეჭდებოდა. ამის ლექსები იაკ. გოგებაშვილის „ბუნების კარშიაც“ არის მოთავსებული.

ეს გ. ჩიქოვანი 1860 წ. გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ამის მდიდარი ბიბლიოთეკა მის მემკვიდრეებმა 1872 წლებში, მეწვრიმალეებზედ ფუთობით დაყიდეს, მერე ეს წიგნები თბილისის იარმუკაზედ იყიდებოდა. წიგნებში ბევრი ხელთნაწერებიც ერია.

აქ იყო ერთი რვეული, თვით გ. ჩიქოვანისაგან ნაწერი, სადაც მოთავსებული იყო ნ. ბარათაშვილის ლექსები. ეს რვეული მე ვიყიდე. ამ რვეულს გარდა იქვე იყო მეორე რვეული, რომელშიაც მოთავსებული იყო ნ. ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“. ეს რვეული ვერ ვიყიდე. ცოტა ხანს შემდეგ ჩავედ იარმუკაზედ გამსყიდავთან და ის რვეულიც უნდა მეყიდნა, მაგრამ იგი ვეღარ ვიპოვნეთ. ასე და ამგვარად დაიკარგა ის პოემა. ვინ წაიღო, გაიყიდა თუ დაიკარგა, პატრონს აღარა ახსოვდა-რა.

ნ. ბარათაშვილის ლექსების ნაყიდ რვეულში, ერთ ფურცელზედ აღარა სჩანდა ერთი ლექსი, ნ. ბარათაშვილის საქებურად. ეს ლექსი გ. ჩიქოვანს 1843 წ. დაუწერია. ეს ლექსი გვიმტკიცებს, რომ თუმცა ნ. ბარათაშვილის ლექსები დაბეჭდილი არ იყო, ქართველობას ხელთნაწერი ლექსების მნიშვნელობა კი მაინც სცოდნიათ. აი ეს ლექსიცა:

„ბედო ქართლისავ, გვიმტკიცებ:
თფილის მამადხან მომსვრელად;
მუნ ციხის კართა განდებულთ—იუდით აღსაფხრობელად.
მეფის ერეკლეს მხნეობის, სიბრძნით
ქართველთა მრჩეველად;
სოლომონ მსაჯულს და სხვა გვართ
ერთგულ მამულის მკობელად.
მშვენიერ შემკობილობით, მოგვითხრობს ჰაზრთა-გალობით
გალობა შენი,—დაბლალულს, გულს
ჰბალთავს—შენის სალმობით;—
გულთა მხილავი! გულთ ხედავს, გულია მსხვერპლათ თანხმობით,
რადგანაც დედათაც აწვე... ჩრდილოჲსა ქარიშხალობით.—
ვინცაა შენი ნწერავი, ჯერია ეძლვნას მადლობა;
ნიჭთ-ღვაწლთ, მოლექსეთ ჰაზრთათვის უჩნს დია უცხო ზრდილობა,
თუმცა მდაბიო-ქართული—ჰმეტობს
აქ ზოგან თქმულობა,
გარნა უცხოა, კარგია,—ამ გვარ მამულისშვილობა“.

თ. გ. ჩიქოვანი.

1843 წ. თბილისი.

ლექსს მოწერილი აქვნდა შემდეგი სტრიქონები:

„ლექსი ესე „ბედი ქართლისა“ ჯერეთ 1840 წ. მქონდა გადაწერილი და შემდგომ რა სრულიად გადავსწერე, მაშინ ჩემ მიერ წარწერილი ლექსი ნიკ. ბარათაშვილზედ, აქვე ზედ დავსწერე“.

ყველა ეს ცნობები კარგად აჩენს იმ გარემოებას, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობა თვით პოეტისავე თანამედროვე ქართველობას კარგად სცოდნიათ.

ესეც კარგი იქმნებოდა პოეტის გასამხნევებლად იმ დაბეჩავებულ დროში.

ასე და ამგვარად ნ. ბარათაშვილის ლექსები, მის სიკვდილის შემდეგ დარჩა ხელთნაწერებათ და იგი ხალხში არ იკარგებოდა.

ნ. ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვა პირველად 1857 წ. „ცისკარში“ დაიწყეს. რამდენიმე ლექსი ილ. ჭავჭავაძემ დაბეჭდა 1863 წ. ჟურ. „საქართველოს მოამბე“-ში. შემდგომ ამასა კირილე ლორთქიფანიძემ დაბეჭდა რამდენიმე ლექსი ჟურ. „კრებულში“.

ცალკე კრებული ლექსებისა თბილისში გამოსცა 1875 წ. ამ გამოცემაზე შრომობდენ პეტრე უმიკაშვილი და კირ. ლორთქიფანიძე. ჩემი რვეულიც ნ. ბარათაშვილის ლექსებისა ამათ გადავეცი. მათვე ჰქონდათ ერთი რვეული, თვით პოეტის ხელით ნაწერი, რომელიც გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა დაცული. ნ. ბარათაშვილის ლექსების ერთი რვეული მე ვიშოვნე 1890 წ. და წერა-კითხვ. სამართველოს გადავეცი. მეოთხე გამოცემა ამ ლექსებისა ჩემი გახლდათ 1891 წ. ამ გამოცემაში მე მოვაქციე ის ოთხი ლექსიც, რომელნიც ი. მეუნარგიამ აღმოაჩინა დადიანის ბიბლიოთეკაში.

დღეს ამ ლექსებისა უკვე მეშვიდე გამოცემა არსებობს.

ზ. ჭიჭინაძე.

ბრძოლის ველზე

რუმინეთში საქმის გამწვავების გამო, როგორც სჩანს, რუსეთის სამხრეთ ბრძოლის ხაზზე, რუმინეთის მიჯნებთან, ძლიერი ბრძოლა გაუჩაღებიათ რუსებს. ცხადია, აქ მედგარი შეტევით განზრახვა აქვთ რუმინეთის ჯარს მტრის ჯარის ნაწილი მაინც ჩამოაცალონ და თავისაკენ მიიზიდონ. აქ კირლი-ბაბას გეზზე რუსებმა გუშინწინ რამდენიმე მაღლობები აიღეს, მაგრამ მთავარსარდლის გუშინდელ ცნობებით, მოპირდაპირეს ძლიერი იერიშების შემდეგ ისევ დაუბრუნებია ეს მაღლობები — რუა-რუკადა, ვაკარკის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ასეთივე სადემონსტრაციო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მოპირდაპირის მედგარ შემოტევას ტარნოპოლ-ზოლოჩევის რკინის გზის ჩრდილოეთით.

რუმინეთის ჩრდილოეთ ასპარეზზე, როგორც სჩანს, მაკენზენის ჯარი ტურტუკაისთანაც გადასულა დუნაის გაღმა. მთავრობის დეპეშაში მოხსენებულია, რომ მოპირდაპირის მოწინავე რაზმები გრეჩის ტბის მიდამოებში გამოჩნდნენო. გრეჩის (გრეჩილორი) ტბა დუნაის გაღმა მდებარეობს, მდ. ოლტინეცის დასავლეთით ათიოდე ვერსზე. ცხადია, მაკენზენის ჯარი ტურტუკაისთანაც გადასულა დუნაის გაღმა, იქ, სადაც დუნაის ერთვის მდ. ოლტინეცი. ოლტინეცთან კი, მთავარსარდლის შტაბის ცნობით, ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით.

ამრიგად, მოპირდაპირე სამი მხრით ერტყმის ბუქარესტს: ჩრდილოეთით (პიტეშტის გზით), დასავლეთით (ბაბილ-კალუგურენით) და სამხრეთით. სამხედრო მიმომხილველთა სიტყვით, ბუქარესტის ციხე-სიმაგრეების ზარბაზნებიც ახმაურებულა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უმთავრესი ციხე-ბურჯები ბუქარესტს ჩრდილოეთის მხრივ აკრავს და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე კი უფრო ადვილი მისადგომია.

თუ ბუქარესტის დაცვაზე რუმინელებმა ხელი აიღეს და რკინის გზებითა და გზატკეცილებით ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს, გადამწყვეტი ბრძოლა, ცხადია ჯერ ბუზეოს რკინის გზის კვანძთან გაჩაღდება, ხოლო მერე მის ჩრდილოეთით მდებარე ფოქშანის ველში.

გუშინდელის ცნობებით, ბუზეოს ველსა და ფოქშანის ჩრდილოეთით მდებარე ოიტუზის ველში უკვე ამოძრავდა ორივე მხარე. რუმინელები თავგანწირვით იბრძვიან და მოპირდაპირე უკუუგდიათ.

შესაძლებელია, მოპირდაპირემ ბუქარესტის გარშემო რკინის გზები გადასჭრას, ბუქარესტის ციხე-სიმაგრე ალყა-შემორტყმული დასტოვოს და თავისი უმთავრესი ძალა უსათუოდ ბუზეო-ფოქშენის ხაზისაკენ მიმართოს. თუ ამ გზას დაადგა ფალკენჰაინის ჯარი, მაკენზენიც შეეცდება ჩერნოვოდის მხრიდან დუნაის გადალახვას და დუნაის მარცხენა ნაპირად ბრაილოვ-გალიჩის რკინის გზების კვანძისაკენ გაქანებას, რათა რუმინეთის ჯარი მთლად ჩაჭკტოს რუმინეთის ფარგლებში და ბესარაბიის მხრით რუმინეთში მიმავალ რუსეთის მაშველ ჯარს გზაზე გადაეღობოს.

X.

ომის დეპეშები

19 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე, ველიცკის მიდამოებში, მოპირდაპირემ შემოტევა სცადა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ტარნოპოლ-ზოლოჩევის რკინის გზის ჩრდილოეთით ზარბაზნებისა და ნაღმების ძლიერი სროლის შემდეგ, სოფ. კაბაროვცეს მიდამოებში, მოპირდაპირე ნაწყვეტ-ნაწყვეტ რაზმებად იერიშით წამოვიდა მაგრამ ქვეითა ჯარისა და არტილერიის სროლით უკანვე გავაბრუნეთ სანგრებისაკენ. ტყიან კარპატებში ჩვენმიერ დაჭერილ მაღლობების ხელში ჩასაგდებად, ვაკარაკის და კირლიბაბას მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. აქ მოპირდაპირემ განმეორებით იერიშების მერე ჩვენს ჯარს დააცლევინა მაღლობი რუარუკადი, ვაკარკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 11 ვერსზე. კირლიბაბას სამხრეთით, რუმინეთის საზღვრის მთელ ბრძოლის ხაზზე ბრძოლაა მოპირდაპირე ძლიერის სროლით გვიპასუხებს და იერიშებით მოდის.

კავკასიის ასპარეზი. მდ. ყარა-სუს მარჯვენა ნაპირას 14 გიორგობისთვეს საღამოთი მოპირდაპირემ სრულიად არევ-დარევით დაიხია ყარა-სუს გაღმა. აქ მოპირდაპირე დიდათ დაზარალდა. ხელთ ვიგდეთ 2 სამთო ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და დიდძალი სამხედრო დავლა.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანია. მდ. ოიტუზის ველში რუმინელების ჯარი მოპირდაპირეს აწვება. მდ. ბუზეოს ველში რუმინელების ჯარმა სოფ. კრასნას აღმოსავლეთით და სამხრეთით რამდენიმე მაღლობი დაიჭირა. იზვორუტატორეშტის მიდამოებში რუმინელებს ბრძოლა აქვთ მოპირდაპირის ძლიერ ცხენოსან ჯართან.

დუნაის ასპარეზი. ბუქარესტის გზებზე ბალბა-კატუზანეშტი-კალუგარენის მიდამოებთან რუმინელებმა მოპირდაპირის ყველა იერიშები მოიგერიეს. სოფ. კომანა და გოსტიმარი მოპირდაპირემ დაიჭირა. მტრის მზვერავი ჯარი გრეჩის ტბის მიდამოებში გამოჩნდა.

დობრუჯაში მოწინავე ჯარის ბრძოლაა.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა განჯის გუბერნიის მემამულე ალლახიარი ბეგი ზიულგადაროვი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ქალთა სემინარია.** გუშინ, 18 ამა თვეს, „განათლების“ საზოგადოების ქალთა საოსტატო სემინარია დაათვალიერეს და სემინარიის საქმეებს გაეცნენ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი და მდივანი კავშირისა ბ-ნი ბურჯანაძე.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **ბათომ ყარსის რკინის გზა.** ამ ჟამად თბილისში იმყოფება ბათომის ქალაქის მოურავი ე. მ. კრინიცკი, რომელსაც დავალებული აქვს პეტროგრადში ბათომის ქალაქის გამგეობის მიერ ბათომ ყარს რკინის გზის გაყვანის შუამდგომლობის აღძვრა.

◆ **კავკ. მუზეის** განძეულობის მთავარი მცველი ლენქორანის მაზრიდან დაბრუნდა და მრავალი კოლექცია შეაგროვა.

◆ **თბ. სამხედრო ბევრის საკრებულოს** მოუვიდა სიები იმათი, ვინც 1898 წელს არიან დაბადებულნი და ჯარში გასაწვევნი არიან 1919 წ. ვისაც 1 ხარისხის უფლებით სურთ ისარგებლონ, უნდა წარუდგინონ საბუთები ამ შეღავათის მიღებაზე.

◆ **სახელმწიფო საბჭოს წევრი თბ.** თავ-დ აზნ. გუბ. წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი გაემგზავრა პეტროგრადს სახელმწიფო საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

სასულიერო უწყებაში.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** მ. ყ. უ. პლატონი ბათომიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **საქართველოს ეგზარხოსმა იშუამდგომლა** თბილისის სასულიერო სემინარია განთავისუფლებულ იქმნას ლაზარეთისაგან. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულია. სანიტარო-საევაკუაციო ნაწილის უმაღლეს უფროსის გ. უ. პ. ა. ოლდენბურგის პრინცისაგან ბრძანება მოვიდა, რომ ლაზარეთი № 45 სემინარიის შენობიდან ქალ. გორში გადაიტანონ.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის ფქვილი.** ქალაქს 200 ვაგონი ფქვილი ჰქონია შეძენილი ნოვოროსიისკში. ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო, რომ ფქვილის დასაზღვევად და ფრახტის გასასტუმრებლად 45,000 მანეთია საჭიროო. გამგეობა ამ ფულს ჩქარა გაგზავნის.

ბაქო.

ბაქოს ქართულმა დრამატიულმა კომიტეტმა ბ. აკაკი ხოშტარიას თავმჯდომარეობით გადასწყვიტა გადასდოს 12,000 მ. ისტორიულის ტანისამოსების და საგანძურის შესაძენად. ფულები მოაგროვეს პირადის წვლილის შემოტანით ა. ხოშტარიამ, ნავთის მრეწველმა ჯაყელმა და სხვამ. ამ საქმის მოგვარება მიანდვეს ახლად მოწვეულ რეჟისორებს: ალ. წუწუნავას და შალვა დადიანს. ტანისამოსები უნდა შეიკეროს ნამდვილი ისტორიულ ეპოქის მიხედვით, ამიტომ ესკიზების შედგენას დაუკვეთენ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას. კომიტეტმა გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავდეს ისტორიული ტანისამოსის ტიპი და არა ისეთი არეულ-დარეული, როგორიც აქნობამდის იყო. აგრეთვე უნდათ დააწესონ საზღაპრო ტანისამოსის ტიპი „ლუბოკის“ შემუშავებით, ეგეც ხელოვანთა საზოგადოების ესკიზებით.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო და რედაქციები „საქართველოსი“ და „სახალხო ფურცლისა“ ქართველ საზოგადოებას აუწყებენ, რომ დღეს, 20 გიორგობისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ტაძარში (კათოლიკეთა ქუჩა) პოლონეთის გამოჩენილ მწერლის და მამულიშვილის

ჰენრიკ სენკევიჩის

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება პანაშვიდი

---

18 გიორგობისთვეს, საღამოს 9 ს, გარდაიცვალა სტატსკი-სოვეტნიკი

თავადი ალექსანდრე ტარიელის ძე მიქელაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი კნეინა თებრონე კონსტანტინე დადიანის ასული მიქელაძისა, შვილები: ბესარიონ, დავით და ნინო და რძლები ეკატერინე კონსტანტინეს ასული და ბაბო დავითის ასული.

პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს ხუთს საათზე. დასაფლავება დანიშნულია სამშაბათს, 22 ნოემბ., შუადღის 12 ს. სოფელ კულაშში.

(1—409—1)

---

17 ნოემბერს თელავში უდროოდ გარდაიცვალა ექიმი

გიორგი ხირსელი

რასაც განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე **თამარი პატარა ტურფათი, დედა ანნა, დები: ანიკო და ბარბარე,** და სიძე **თავადი ალექსანდრე ჩოლოყაშვილი.**

დაკრძალვა მოხდება ქ. თელავში კვირას, 20 გიორგობისთვეს.

(1—408—1)

ორშაბათს, 21 გიორგობისთვეს, ქ. ოზურგეთში გარდაცვალების 40 დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი

ევგელინა რაჟდენის ასულის ღუღუნავას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დები და ძმები **ალექსანდრე და სამსონ.**

(1—406—1)

გარდაცვალებიდან ექვსის თვის თავზე, დღეს, 20 გიორგობისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი

სტეფანე სიმონის ძის ელიაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთ ასული განსვენებულისა თამარ და სიძე **გიორგი იოსების ძე ანდრონიკაშვილები.**

(1—407—1)

გაზ. „საქართველოს“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ!

ვაუწყებთ პატივცემულთ ხელის მომწერთ, რომ ვინც გიორგობისთვის 25-მდე ხვედრ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა.

რედ.

ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათს
ოპერეტა
ბილეთები 1 მ. დან 30 კ.-დე.

სამშაბათს
სიმფონიური კონცერტი
მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

ოთხშაბათს
სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.

ხუთშაბათს
ქართული წარმოდგენა
ბილეთები 50 კაპ.-დან 30 კ.-დე.

პარასკევს
ოპერეტა
ბილეთები 1 მ. ნ.-დან 30 კ.-დე.

შაბათს
კონცერტი სიმებ. ორკეს.
მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

კვირას
რუსული წარმოდგენა.
ბილეთები 50 კ.-დან 30 კ.-მდე.

დასაწყისი: კონცერტებისა სალ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ 8½ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

(1—259—1)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.